ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ცოდნა

№ 9 სექტემბერი 1961

„ბუნების ახალი მოვლენებისა და კანონების აღმოჩენაში, პლანეტებისა და მზის კვლევაში დიდი შესაძლებლობანი შექმნეს დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრებმა და კოსმოსურმა რაკეტებმა, რომლებმაც საშუალება მისცეს ადამიანს შეეღწია კოსმოსში".

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)

# „პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!“

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა



„კომუნიზმი არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდებიან მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიადი პრინციპი „თვითეულისაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს — მოთხოვნილების მიხედვით“. კომუნიზმი თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოების საკეთილდღეო შრომა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითეულის უნარი გამოყენებულ იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის“.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან).



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (122) სექტემბერი, 1961 წ.

გამოცემის XI წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა

8468



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის გამოსვლა ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით.

## საინფორმაციო ცნობა

27-29 სექტემბერს თბილისში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა. იგი დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა ცხოვრებაში, მათ მზადებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობისათვის.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ. საანგარიშო მოხსენებაში, დელეგატთა გამოსვლებში და ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათლად აისახა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგებში.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა ჩვენი ხალხის უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. ყრილობამ ერთსულოვნად, დიდი აღფრთოვანებით მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტები, თანამედროვეობის ეს თვალსაჩინო დოკუმენტები, რომლებიც მთელს კაცობრიობას უჩვენებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის კონკრეტულ და ნათელ გზას.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად — ამხ. პ. ვ. კოვანოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად — ამხანაგები გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე.

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, ა. ტ. სტუჩენკო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეულნი არიან: ამხანაგები ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ო. ე. ჩერქეზია.

* * *

გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. თ. რ. აბაშმაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე შესვენების დროს ესაუბრება ყრილობის დელეგატებს.



ყრილობის დელეგატები შესვენების დროს.

# ყრილობის დელეგატები

## ზაურ რუსია

— აბა რა გითხრათ? — ხელების გაშლით გვეუბნება კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ზაურ რუსია და მაშინვე კეთილი ღიმილით დასძენს, — მე ლითონთან ბრძოლა უფრო მეხერხება, ვიდრე საკუთარ თავზე საუბარი..

რა გაეწყობა, რასაც ვერ ამბობს უთქმელი ვაჟკაცი, დაე იმის შესახებ მისმა შრომამ და სასახელო მიღწევებმა ილაპარაკონ.

თბილისის ქარხანა ელექტროავტომატის ცნობილი მხეხავი ზაურ რუსია შარშან 130-140 პროცენტით ასრულებდა გეგმებს, შვიდწლედის მესამე წელს კი ყოველთვიურ დავალებებს 150-160 პროცენტით ანაღდებს. შრომაში კვლავ მოწინავეა მისი სახელოვანი ბრიგადა.

— საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატად არჩევამ ახალი ძალა და ენერგია შემმატა, — უჩვეულოდ ენამზეობს თვალებგაბრწყინებული ზაური, — სკკპ პროგრამის პროექტი, რომელსაც ყრილობაზე განვიხილავთ, სიამაყით ავსებს მშრომელთა გულებს. მშობლიური პარტია ნათელ გზას გვისახავს დიდებული მომავლისაკენ და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა რეალობად ვაქციოთ მოწინავე კაცობრიობის ოცნება. შორს აღარ არის ის დრო, როცა დიადი პროგრამით შეიარაღებული საბჭოთა ადამიანები ფართოდ შეაღებენ კომუნიზმის კარიბჭეს.



## ნადია ზაკალაშვილი

სოფლის თვალი და სიამაყე! — ასე ეძახიან ზემო გურჯაანის „ოქტომბრის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრები ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატს ნადია ზაკალაშვილს.

ცისმარე დილით, როგორც კი ცაზე დილაბნელი აიშლება, მზით გარუჯული მევენახე ღიღინით მიაშურებს ხოლმე თავის ნაკვეთს, მიაშურებს და ბინდის მოძალებამდე გადიასავით დასტრიალებს რქაგადაგრეხილ ვაზებს.

მერე კეთილი თვალი ჩამოიხედავს ნაპატივებ ზვარში, შემოდგომის მზე ფიჭათაფლივით დაატკბობს მტევნებს და ნადიას ნაკვეთიდან უწყვეტ ნაკადად მოდის ჩაქუფრული საფერავითა და ქარვისფერი რქაწითელით პირთამდე სავსე გოდრები...

რაიონის მშრომელებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს ჩვენი დღეების გმირ მევენახეს ნადია ზაკალაშვილს და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის დელეგატად აირჩიეს. ზღვა სიხარულს ვეღარ იტევს მუდამ გამრჯე და მკლავმოუღლელი კოლმეურნე: უხარია ნადიას, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი კომპარტიის ყრილობის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას და თავის ხმას შეუერთებს მილიონობით საბჭოთა ადამიანის ხმას, რომლებიც ერთსულოვნად იწონებენ სკკპ პროგრამის პროექტს — კომუნიზმის მშენებლობის ამ მძლეთამძლე და ნათელ მეგზურს.





ფრთები ესხმება კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ნატვრას, იმას, რასაც თავის დროზე წარმოიდგენდნენ მხოლოდ როგორც, რაღაც საოცნებო „მზის ქალაქსა“ და „მზის სახელმწიფოს“.

კომუნიზმს მოაქვს კაცობრიობისათვის მატერიალური და სულიერი კულტურის არნახული გაფურჩქვნის ხანა. რა დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენ, მწერლებს, ამ დიადი ამოცანების წინაშე. პარტიის პროგრამა შთაგვაგონებს მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგიით ჩავებათ იმ უკეთილშობილეს საქმიანობაში, რასაც დღეს ახალი ადამიანის აღზრდას, მის სულიერ ჩამოყალიბებას ვუწოდებთ. მხოლოდ ამ გზით შეასრულებს „ადამიანთმცოდნეობის“ და „ადამიანთაღზრდის“ საპასუხისმგებლო ფუნქციას საბჭოთა მწერლობა.

**ირაკლი აბაშიძე**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატი


ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატი ამხ. შ. ს. კობახიძე.

ყრილობის დელეგატები — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. მუსხელიშვილი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. დვალი და სხვები სხდომის დაწყების წინ.



დელეგატები მქუხარე ოვაციით იწონებენ ყრილობის მისალმებას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.





# როცა ყრილობა მიმდინარეობდა

### ილხინე ბერო

1961 წლის 27 სექტემბერს თბილისელი ინჟინრის ივანე კახიძის ოჯახში ოქროს ფრთებით შემოფრინდა დიდი ხნის ნანატრი სიხარული.

ეჰეი, ახლობლებო, გულმართალო მოყვრებო და მოკეთეებო, ფართოდ შეაღეთ სხივჩამდგარი ოთახის კარი და ახალი სიცოცხლის დაბადება მიულოცეთ ბედნიერ ოჯახს.

მაინც რა დიდი ძალა და შეძლება ჰქონია ამ თვალებმილულულ, ერთი ციდა ბიჭუნას! მობრძანება ინება თუ არა, ათასი საკამათო და ათი ათასი საზრუნავი გაუჩინა ახლობლებს.

ბებია თამრო და პაპა ნიკოლოზი დილიდანვე გაცხარებით დაობენ და მაინც ვერ შეარჩიეს შვილიშვილისათვის შესარჩევი სახელი, ვერც ლხინისა და ძეობის გამართვის თარიღზე შეთანხმდნენ, უსახელო შვილის ბედნიერი მამა კი მალ-მალე გარბის სამშობიარო სახლისაკენ და, ალაყაფთან ატუზული, ღიმილით ეხვეწება ყველას, გინდათ თუ არა, ერთხელ კიდევ დამანახეთ ჩემი ბიჭი...

მოწმენდილი ციდან უხვად იღვრება შემოდგომის მზის საამო სითბო.

სარეცელზე მიწოლილა ბედნიერი დედა და გულში ტკბილად ისათუთებს თავის სულთადგმას.

იცის თამარმა, ძალიან კარგად იცის, რომ მალე ჩაიმარცვლება ბობოქარი წლები და მისი ულვაშაშლილი ვაჟკაცი ზღაპრებში თქმული დიდებული ცხოვრების მომსწრე გახდება.

იცის თამარმა, ძალიან კარგად იცის, რომ საიმედო ძალა მტკიცედ სდარაჯობს მისი ფუნჩულა ბიჭუნას მშვიდსა და უდრტვინველ ძილს...

დაე სულ მუდამ ულევი სიხარული და გამარჯვების გზები დაებედოს საქართველოს დედაგულის ამ ახალ მოქალაქეს, დაე სულ მუდამ სიკეთე და ბედნიერება იყოს მისი ნათელი ცხოვრების თანაზიარი.

### დაგვილოცოთ მარჯვენა

მთელი ღამე თეთრად გატეხეს დაალმასებულმა ბიჭებმა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: მეორე დღისათვის მწყობრში უნდა ჩაეყენებინათ რუსთავის მინერალური ბამბის ნაწარმის ქარხანა, რომელიც გახურებულ წიდაზე იმუშავებს და ერთადერთი ექსპერიმენტული საწარმო იქნება საბჭოთა კავშირში.

ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებთან და მუშებთან ერთად მუხლჩაუხრელად დატრიალებდნენ მოსკოვის „მიდროპროექტის" ინსტიტუტის გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც საგანგებოდ ჩამოვიდნენ ქართველი მეგობრებისათვის დახმარების გასაწევად.

—საწარმოს ამუშავების უაღრესად რთული და ფაქიზი სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს,— გვეუბნება ქარხნის დირექტორი მიხეილ გოქსაძე,— ღუმელში ზუსტად ვინარჩუნებთ წინასწარ გათვალისწინებულ ტემპერატურას, ასევე შეუფერხებლად მიმდინარეობს გაზისა და წყლის რეგულაცია...

—განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენი საერთო წარმატება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გახსნის დღეს დაემთხვა,—მოსკოველი თბოტექნიკოსი ბორის კუზმიჩი ხალისით ებმება საუბარში და მაშინვე მძიმემძიმედ აგრძელებს სიტყვას,—ქარხანაში დამზადებული მინერალური ბამბის დაწნეხილი ფილები ხმისა და სითბოს საუკეთესო საიზოლაციო საშუალება იქნება. ამ პროდუქციაზე ახლა დიდ მოთხოვნილებაა მრეწველობაში, განსაკუთრებით კი საბინაო მშენებლობაში...

რაღაც ამაღლებული, გულითადი და საზეიმო განწყობა იგრძნობა ირგვლივ. მკლავებდაკაპიწებული მუშები საქმიანად დაფუსფუსებენ უზარმაზარ საამქროში, ვეება ღუმელი კი მხიარულად გუგუნებს და თითქოს სამადლობელს ეუბნება კუნთმაგარ ვაჟკაცებს, რომლებმაც სიცოცხლე ჩაუდგეს და მშრომელი ხალხის სამსახურში ჩააყენეს.



### მოდის და მოემღერება

კოლმეურნეობის აგრონომმა ფეხმარდად მოლია ცერად წასული თავქვე. ფართოდ დაცემულ მინდორზე შეივაკა და ხელის აწევით შეეხმიანა პლანტაციაში მოფუსფუსე მკრეფავს:

—ლეილა, ეჰეი ლეილა, გეტყობა დღესაც უთენია ამდგარხარ!...

შემოდგომის სუსხი დაჰკრავდა მტრედისფერ ალიონს. კორტოხებიდან აფრენილი ნიავი მხიარულად აშრიალებდა თმაქოჩორა ბუჩქებს, შორს, ერთმანეთის მხარდამხარ მიჯრილ მთათა მწვერვალებს კი ნელ-ნელა ეცლებოდა გაძენძილი ნისლი.

—ასე ადრე არასოდეს გამოვსულვარ ჩაიზე! — წელში გამართულმა მკრეფავმა შორიდანვე შეაგება სიტყვა აგრონომს. მერე წუთით შეჩერდა, მთაურილებად დახვავებულ ახალმოკრეფილ დუყებს შეავ-



# რევოლუციური კუბის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო თბილისში



მარცხნიდან მარჯვნივ: გ. დ. ჯავახიშვილი, ოსვალდო დორტიკოს ტორადო და გ. ს. ძოწენიძე თბილისის აეროდრომზე.



თბილისელები გულთბილად შეხვდნენ კუბის პრეზიდენტს.



ოსვალდო დორტიკოს ტორადო კუბელ ახალგაზრდებთან, რომლებიც პრაქტიკას გადიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობაში.

# კომუნიზმის მახარობელი

### ვახტანგ გორგანელი

რადიო გრგვინავს, პარტიის სიტყვას
დილის შუქივით გარშემო ფანტავს:
— კომუნიზმისკენ პარტიას მიჰყავს
და აღასრულებს მშრომელთა ნატვრას.

შავარდენივით ფრთებს შლის ოცნება
დღევანდელ დღეთა უსაზღვრო რწმენით,
კომუნიზმის მზით დაიკოცნება
მალე, სულ მალე თაობა ჩვენი...

დერეფნის ახლოს გუგუნებს მუხაც,
ცაში ამაყად ირხევა ფიჭვიც,
სიხარულისგან ჩვენ რომ ტაშს ვუკრავთ
ტაშს უკრავს ჩემი პატარა ბიჭიც.

მას ჩვენი ღელვა არ ესმის განა?
არ თქვათ, ვერ სწვდება გულების ფეთქვას,
მას ხომ ჩაესმის ხმატკბილი ნანა,
ძილის წინ როცა უგალობს დედა.

ის მხოლოდ იცნობს ყვავილთა ღიმილს,
ბაღში მოფრენილ ყანების შრიალს,
ისიც ხომ როგორც ცისკარი ღვივის
და სიმღერისთვის მკერდი აქვს ღია.

მან მხოლოდ იცის მზეემ ოქროს სხივებს
მასთან ღიმილი გამოატანა,
მხოლოდ ვარსკვლავებს თვალმოციმციმეს
იცნობს ამ ქვეყნად ჩემი პატარა.

უნახავს მხოლოდ ავსებულ ბეღელს
როგორ შეჰხარის გამრჯელი გლეხი,
როგორ აპურებს ეზოში მტრედებს
და ემატება ძალა და ეშხი.

ბავშვმა არ იცის, რა არის ომი,
ნურც გაიგონებს სიტყვას ამაზრზენს,
იებისა და ვარდების ტოლი
მზის სხივებს იცნობს ამ ქვეყანაზე.

ის მხოლოდ იცნობს უმანკო ღიმილს,
ვარდების სუნთქვას, ყანების შრიალს,
ის ლექსით ხვდება ყაყაჩოს ციმციმს
და სიხარულიც ხომ ამას ჰქვია!

დე მტრების გული შიშისგან ძრწოდეს,
ვინ რას დააკლებს თავისუფლებას,
მტარვალთა ზრახვას ომები მოსდევს,
კომუნიზმი კი შრომის სუფევას.

ლო თვალი და ჩვეული ღიმილით დაასრულა სათქმელი,—დღეს ხომ საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობა იხსნება.., ჰოდა, ჩემი შრომითი საჩუქარი მინდა მოვუმზადო..,

—საოცარია, სწორედ რომ საოცარია, ამდენი ძალა და ენერგია საიდან აქვს ამ ქალს?—ფიქრობდა გახალისებული აგრონომი და თან სიყვარულით შესცქეროდა შრომაში გართულ მკრეფავს.

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს" ნოვატორმა მეჩაიემ ლეილა მაღულარიამ რესპუბლიკაში პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა და 16 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ნედლეული ჩააბარა სახელმწიფოს.

მიღწეული წარმატებები აბა როგორ დაუმშვიდებს გულს მუდამ ვერცხლისწყალივით დაუდეგარ მეჩაიეს.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის გახსნის დღეს ლეილა ახალი ენერგიით შეეჭიდა საქმეს, შეეჭიდა და წყალუხვ მდინარესავით მოაზვავა გამრჯე მარჯვენით მოკრეფილი ჩაის ხავერდოვანი ფოთოლი.

—დღიური გეგმა სამმაგად არის შესრულებული! —სიხარულით უპატაკა „მწვანე ოქროს" ოსტატმა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობას.

...მარაოსავით გაშლილ პლანტაციაში პირგაბადრული მოაბიჯებს ახალგაზრდა მეჩაიე, მოდის შემოდგომის მზით გარუჯული ლეილა და ზღვა სიხარული ელვენთება გულში.

აბა როგორ არ უნდა უხაროდეს გარჯანახულ კოლმეურნეს, როცა სახალხო დოვლათის შექმნაში მასაც მიუძღვის წვლილი, როცა სკკპ პროგრამის პროექტი სიამაყის გრძნობით ავსებს საბჭოთა ადამიანების გულებს, კიდევ უფრო წარმტაც და სანუკვარ მომავალს უცისკროვნებს მათ.



### ძმადნაფიცები

კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში როცა კომუნისტური შრომის დამკვრელს შოთა ფირცხალავას ახსენებენ, აბა როგორ შეიძლება გივი ბეგლარიშვილი და პეტრე იურკოვიც არ მოიხსენიონ.

სამნი არიან,—ჭირსა და ლხინში მტკიცედ შედუღაბებული სამი განუყრელი ძმადნაფიცი.

შარშან შემოდგომაზე ბიჭებმა საბჭოთა არმიის რიგებში გააცილეს თავიანთი ბრიგადის წევრები ბორის ჟიგუნი და თენგიზ მძინარიშვილი. იმ დღიდან მოყოლებული ისეთი მონდომებითა და გულისყურით მიეძალნენ საქმეს, რომ საერთო მაჩვენებლებისათვის არც არაფერი დაუტყვიათ.

ღირსსახსოვარ დღეებში, როცა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებს აჯამებდა, როცა დელეგატები ერთსულოვნად აწონებდნენ და მხარს უჭერდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტს — შრომაში ნაცადი თბილისელი ჩარხმშენებლები პატრიოტული აღმაფრენით იბრძოდნენ ახალი წარმატების მოსაპოვებლად.

საერთო შრომის ფერხულს არც ძმადნაფიცი ზეინკლები ჩამორჩნენ. თავიანთი გარჯით მათ მთელს კოლექტივს ერთხელ კიდევ გაუხარეს გული და დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ყრილობის მუშაობის პერიოდში ნაკისრი ვალდებულებები.

—კარგი სტარტი ავიღეთ!—კმაყოფილები ამბობენ ხელგადახვეული ძმობილები,—ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა ის არის, 17 ოქტომბრისათვის შევასრულოთ ათი თვის გეგმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას სიხარულით ვუპატაკოთ მორიგი გამარჯვება.

შევცქერით ჯანღონით სავსე, ჭირსა და ლხინში მტკიცედ შედუღაბებულ ვაჟკაცებს და ერთის წუთითაც კი არ გვეპარება ეჭვი, რომ ისინი შეძლებენ პირნათლად შეასრულონ თავიანთი გადაწყვეტილება.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, მუდამ ახლის ძიება, ალალი შრომა და ახალგაზრდული შემართება მათი წინსვლისა და გამარჯვების უტყუარი საწინდარია.

## „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მაღლა ეჭირება მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის დროშა."

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)




ეროვნული
ბიბლიოთეკა




ნ. მალაზონია—„მშვიდობა მსოფლიოს!“



ე. ბერძენიშვილი, მ. ბერძენიშვილი—„ცეკვა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული საბჭოთა პლაკატის გამოფენა 1955-1961

ახლახან მხატვართა კლუბში მოეწყო ქართული საბჭოთა პლაკატის გამოფენა, რომელშიც, ძირითადად, ახალგაზრდა მხატვრები მონაწილეობენ. გამოფენა საპლაკატო ხელოვნების თითქმის ყველა დარგს მოიცავს, მაგრამ ძირითადი ნაწილი მაინც პოლიტიკურ თემებს მიეძღვნა. აქ წარმოდგენილია ნამუშევრები როგორც საერთაშორისო თემებზე, ასევე ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის ცალკეულ საკითხებზე. გამოფენამ ცხადჰყო, რომ საგრძნობლად ამაღლდა პლაკატისტთა ოსტატობა.

ამ გამოფენაზე საინტერესო პლაკატისტებად გვევლინებიან ე. და მ. ბერძენიშვილები, ნ. მალაზონია, ვ. გიორგობიანი, ი. გორდელაძე, გ. ზულისაშვილი, დ. დუნდუა, ს. კაშხიანი, შ. კუპრაშვილი, ფ. ლაპიაშვილი, ნ. ლემონჯავა, ვ. ქოქიაშვილი, ო. ჯიშკარიანი და სხვები.

გამოფენაზე წარმოდგენილი სინამდვილის მრავალი თემა მეტად აქტუალურად არის გადაწყვეტილი. ჩანს, რომ ჩვენი მხატვრები მონდომებით იბრძვიან კალმით იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც მათ წინაშე ცხოვრება სახავს; ჩანს, რომ მათ კარგად ესმით პლაკატის როლი და დანიშნულება.

გამოფენაზე მეტ-ნაკლებად ნაჩვენებია თითქმის ყველა სახეობის პლაკატი. ქართული პოლიტიკური პლაკატის ყოველი კომპონენტი ჩვენს პლაკატისტთა გააზრებაში ხასიათდება მიგნებით და კონკრეტული, მაგრამ დიდი განიაზოგადებელი ძალით.

გამოფენის მონაწილე ქართველ პლაკატისტთა ყურადღების გარეშე არა რჩება თითქმის არც ერთი საკითხი, რომელსაც ცხოვრება აყენებს დღის წესრიგში. აქ ფართოდ და საინტერესოდ არის წარმოდგენილი მშვიდობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ქვეყნის ელექტროფიკაციის, კომკავშირული ღირსების, მუშათა კლასის სოლიდარობის, კოლონიალური ქვეყნების მშრომელთა გამოღვიძების, სახალხო ზეიმებისა და დღესასწაულების, პოლიტიკური სატირის, კინოს და თეატრალურ სანახაობათა და სხვა თემები.

ყურადღებას იპყრობს ქართული პლაკატის ოსტატთა მხატვრული აზროვნებისა და გამოსახვის საშუალებების პროფესიული დონე.

გამოფენაზე აქა-იქ მაინც გვხვდება ისეთი პლაკატები, რომლებიც დაღდასმულია სქემატიზმით, ფოტოგრაფიზმით, უცხოური პლაკატის მიბაძვით. გვხვდება პლაკატები, რომლებიც ამჟღავნებენ ერთგვარ მიდრეკილებას გაუბრალოებისადმი. ასეთი ტენდენციები შეიჩნევა ისეთ ავტორთა ნამუშევრებში, როგორიც არიან ვ. აბრამიშვილი, ნ. მამალაძე, ა. სლავინსკი, ი. ჩიკვაიძე, გ. ჩაგელიშვილი, გ. მირზოევი (პლაკატი „40 წელი“) და ვ. ხმალაძე.

სამხატვრო აკადემიას, მხატვართა კავშირს და მის სამხატვრო ფონდს მეტი მუშაობა მართებთ პლაკატისტთა აღზრდისა და დაოსტატების საქმეში; ხშირად უნდა ეწყობოდეს მათი ნამუშევრების გამოფენა და განხილვები, ყურადღება უნდა მიექცეს პლაკატების ბეჭდვის საკითხსაც.

ქართული პლაკატის გამოფენა უდაოდ ადასტურებს აქამდე ჩამორჩენილი ამ დარგის აღორძინებას და მომავალში მისი მეტი ზრდისა და პროფესიული მხარის გამოვლინების დიდ შესაძლებლობებს.

**შალვა ქვასხვაძე**
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

ი. გორდელაძე—„გაიტანეთ ნაგავი“



ო. ჯიშკარიანი—„ჩვენი მაისი“




ვ. გიორგობიანი, შ. კუპრაშვილი
ს. კაშხიანი—„მეტი თუჯი სამშობლოს!“







„20 წლის მანძილზე შავი მეტალურგია ისეთ დონეს მიაღწევს, რომ საშუალება გვექნება გამოვადნოთ წელიწადში დაახლოებით 250 მილიონი ტონა ფოლადი.“

**(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)**

# კითხვა-პასუხი

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტის გამოქვეყნებამ დიდი საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში. რედაქციაში შემოვიდა არა ერთი შეკითხვა. მკითხველები მოითხოვენ პროგრამის პროექტის განხილვის დროს აღძრული საინტერესო საკითხების განმარტებას, ვაკმაყოფილებთ მათ სურვილებს. ვაქვეყნებთ ზოგიერთ შეკითხვას, რომელსაც პასუხი გასცა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის ისტორიის ეკონომიკის კათედრის დოცენტმა ამხ. ვ. ბახტაძემ.**

**კითხვა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან ჩანს, რომ კომუნიზმის დროს განუზომლად გაიზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები.**

**გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორ იქნება საკუთარი ავტომანქანების, აგარაკების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და კოლმეურნეების საკარმიდამო ნაკვეთების საქმე?**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში აღნიშნულია, რომ ორი ათეული წლის განმავლობაში შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პროგრამის პროექტში დასახულია ახალი გრანდიოზული ამოცანები. უახლოესი 10 წლის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის წარმოება უნდა გაიზარდოს 2,5 ჯერ, ხოლო 20 წლის განმავლობაში — 5-ჯერ და უკან ჩამოიტოვოს აშშ ახლანდელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა. სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა გაიზარდოს პირველი 10 წლის განმავლობაში 2,5-ჯერ და 20 წლის განმავლობაში 3,5-ჯერ. გათვალისწინებულია 20 წლის განმავლობაში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდოს 3,5-ჯერ და უფრო მეტად. ყველაფერი ეს უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის უმაგალითო ზრდას.

ამ პროცესთან დაკავშირებით მოხდება ცვლილებები როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის პირად საკუთრებაშიც. კომუნიზმთან მიახლოებისას მოქალაქეთა პირადი მოთხოვნილებანი სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების საფუძველზე. საზოგადოებრივი ფონდების ზრდის ტემპი გაუსწრებს შრომის მიხედვით ინდივიდუალურ ანაზღაურებას. აქედან გამომდინარეობს ის დებულება, რომ პირადი საკუთრება, რომელიც შრომითი საკუთრებაა (ავტომანქანა, აგარაკი და სხვ.), თანდათანობით დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ყველა ამ მოთხოვნილებას თანდათანობით დააკმაყოფილებს საზოგადოება. კომუნისტურ განაწილებაზე გადასვლა დამთავრდება მაშინ, როდესაც შრომის მიხედვით განაწილება თავისთავს სრულებით ამოსწურავს, როდესაც შრომა გადაიქცევა პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

ცვლილებები მოხდება კოლმეურნეობრივ ურთიერთობაშიც. კოლმეურნეთა ძირითად, მთავარ შემოსავალს ამჟამად წარმოადგენს საკოლმეურნეო შრომა, დამატებით შემოსავალს იგი იღებს თავის საკარმიდამო მეურნეობიდან, რადგან საკოლმეურნეო შემოსავალი მთლიანად ვერ უზრუნველყოფს მის გაზრდილ მოთხოვნილებას. პირადი საკარმიდამო მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი შრომითი შემოსავალია, რასაც კოლმეურნე იღებს პირადად გაწეული შრომის საფუძველზე. ეს პირადი შრომა აძლევს მათ უფლებას მიიღონ საზოგადოებრივი პროდუქციის ნაწილი. პირადი საკუთრების ზრდა არაშრომითი შემოსავლის საფუძველზე წარმოადგენს დანაშაულს და ისჯება სახელმწიფოს მიერ.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მიაღწევს ისეთ დონეს, როდესაც კოლმეურნეობათა საკუთარი რესურსების საფუძველზე შესაძლებელი გახდება კოლმეურნეთა მოთ-

ხოვნილებების სრული დაკმაყოფილება. ამის შედეგად პირადი დამხმარე მეურნეობა ეკონომიურად საჭირო აღარ იქნება. როდესაც კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა შეძლებს პირადი დამხმარე მეურნეობის სავსებით შეცვლას, როდესაც კოლმეურნეები თვითონ დარწმუნდებიან, რომ მათთვის არ არის ხელსაყრელი საკარმიდამო მეურნეობა, ისინი ნებაყოფლობით უარს იტყვიან მასზე.

საკოლმეურნეოთაშორისო საწარმოების ზრდისა და კულტურულ დაწესებულებათა საერთო ძალებით მშენებლობის საფუძველზე კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრებაშიც მოხდება ცვლილებები. სრული ნებაყოფლობის პრინციპის განხორციელებით შესაძლებელი გახდება სათანადო ეკონომიურ პირობებში საკოლმეურნეო-კოოპერაციულმა საკუთრებამ მიიღოს საერთო სახალხო საკუთრების ხასიათი. კომუნისტურ საზოგადოებაში იქნება საკუთრების მხოლოდ ერთი ფორმა — საერთო სახალხო საკუთრება.

**კითხვა: განა საკვირველი არ არის, რომ ზოგიერთი ადამიანი, რომელიც თვეში 100-150 მანეთს იღებს, იშენებს ვეებერთელა აგარაკს და სახლს? როგორ უნდა მოვექცეთ ასეთ ადამიანებს?**

**ამავე დროს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ზოგნი ცნებას „პარაზიტი", „მუქთახორა" ავრცელებენ ყველაზე, ვისაც ავტომანქანა ან აგარაკი აქვს. განა უკანონოა ჰქონდეს კაცს ყოველივე ეს, რაც შეძენილია პატიოსანი გზით, შრომითი შემოსავლით?**

პარტიის პროგრამის პროექტში გათვალისწინებულია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი ზრდა. ჯერჯერობით ჩვენს ქვეყანაში არსებობს დაბალხელფასიან მუშაკთა კატეგორია. მათი რეალური შემოსავალი (მუშებისა და მოსამსახურეებისა), რომლებიც ამჟამად მინიმალურ ხელფასს იღებენ, 20 წლის განმავლობაში გაიზრდება დაახლოებით 3-ჯერ, ხოლო კოლმეურნეთა შემოსავალი მათი შრომის ნაყოფიერების უფრო ჩქარი ზრდის საფუძველზე, 20 წლის განმავლობაში 4-ჯერ და უფრო მეტად. ამასთან შეფარდებით მშრომელთა მოთხოვნილება ყოველმხრივ დაკმაყოფილდება ფართო მოხმარების საგნებით. საბოლოოდ მოგვარდება საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის საკითხიც. თვითეულ ოჯახს ექნება კეთილმოწყობილი ბინა. მეორე ათწლედის განმავლობაში ბინებით სარგებლობა თანდათანობით უფასო იქნება ყველა მოქალაქისათვის. გაიზრდება აგარაკების, დასასვენებელი სახლების, ტურისტული ბანაკებისა და სხვა გამაჯანსაღებელ დაწესებულებთა რაოდენობა. ყოველივე ეს შესაძლებელს გახდის, რომ ყველა მოქალაქემ ისარგებლოს სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით. მაშინ კერძო აგარაკები დაკარგავს თავის ახლანდელ მნიშვნელობას.

ამჟამად არიან მოქალაქენი, რომლებიც აშენებენ აგარაკებს. ის მოქალაქენი, რომელთაც მცირე შემოსავალი აქვთ და აგარაკებს აშენებენ, ყოველთვის არ არიან დამნაშავენი. ზოგი მათგანი ჰყიდის მემკვიდრეობით მიღებულ სახლს და ამ თანხით აშენებს აგარაკს. მაგრამ არიან ისეთი კატეგორიის მცირეხელფასიანი ადამიანები, რომლებიც აშენებენ აგარაკს არაშრომითი შემოსავლით. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ის ადამიანი, რომელიც თავისი შრომით ნაკლებს აძლევს საზოგადოებას და მეტი მიაქვს საზოგადოებიდან, გაიძვერა, პარაზიტი და მუქთახორაა. მათ მიმართ ჩვენი ხელისუფლება აწარმოებდა და აწარმოებს სასტიკ ბრძოლას.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი მაღალკვალიფიციური შრომით მიღებული შემოსავლით აშენებენ აგარაკს. ეს კი მისი პირადი საკუთრებაა, ვინაიდან იგი მისი შრომითაა შექმნილი.

**კითხვა: პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია მეცნიერების შეერთების შესახებ წარმოებასთან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ზოგიერთ დიდ საწარმოში შეიქმნება სათანადო სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები?**

პარტიის პროგრამის პროექტში, იქ, სადაც ლაპარაკია, თუ რას ნიშნავს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სხვა მრავალ ღონისძიებასთან ერთად აღნიშნულია — ორგანული შეერთება მეცნიერებისა წარმოებასთან და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჩქარი ტემპი. ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის მხრივ მიღწეულია ისეთი შედეგები, რომ ისინი მთელ რიგ დარგებში უკან ტოვებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს. მაგრამ ტექნიკური პროგრესი არაა ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული დონე. მას შემდეგაც კი, როცა ტექნიკური პროგრესის საფუძველზე მიღწეული იქნება შრომის ნაყოფიერების კოლოსალური ზრდა, ტექნიკური პროგრესი კომუნისტური საზოგადოების მუდმივი საზრუნავი იქნება.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებით გადადგმულია დიდი ნაბიჯები ჩვენი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმოებასთან დასაკავშირებლად. ამჟამად არის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ სამეცნიერო მუშაობის ბაზებს (საავიაციო მრეწველობა, ლითონის წარმოება, ჩარხმშენებლობა და სხვ.). უკვე შექმნილია ისეთი ურთიერთობა, როდესაც წარმოება ვითარდება მეცნიერების მითითებათა საფუძველზე და თვით მეცნიერება მდიდრდება წარმოების გამოცდილებით. პარტია დიდ ყურადღებას უთმობს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტურობის ამაღლებას. ამავე დროს განუხრელად ზრუნავს პროდუქციის ხარისხის სისტემატურად გაუმჯობესებისათვის.

ზოგიერთ დიდ საწარმოში შეიქმნება არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები, არამედ ასეთი საწარმონი გახდებიან ბაზად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

ვასილ გვეტაძე

# მოდის სიცოცხლის ტალღა მღელვარე

რომ ზღვად დადუღდე დროა, პოეტო,
გულს ხომ ნაღველი აღარ გინისლავს!
ბრიალ-ბრიალა მზედ ამოენთო
დიდი პროგრამა კომუნიზმისა...

შუქში ნანატრი მოჩანს ბორცვები,
ვით ამხდარ ფიქრთა ფრთაგაშლილობა...
ნატვრით, იმედით, ნეტარ ოცნებით,
ვხვდებით პარტიის დიად ყრილობას,

გზას და მომავალს რა დაგვიბურავს,
ზეცას გავცქერით გაშლილ სახეთი.
ძმებო, ყრილობა არის ტრიბუნა
მთელი სამყაროს გადასახედი.

ძმებო, ყრილობა არის ნათელი,
ყველა კუნჭული რომ გაანათა,
ნაფოფინები, ღამენათევი
ზრახვა პაპების, ფიქრი მამათა;

რა საწადელიც გულში ჩარგულა,
რა ხნის იმედი ნაალერსები, —
მტერს რომ ზაფრავს და ბოლმა არგუნა,
ხალხს რომ გაუთბო სულის ფესვები.

ამბობს პარტია: ჩვეულ იერით
ფხიზლად ვიცავდეთ დღეებს დარიანს...
—ხარობს მშვიდობა, მაგრამ ცბიერი
სადღაც მშვიდობის მტრებიც არიან!

ჯანღი გაფანტა და დაარბია,
ქვეყნად ახალი გაჩნდა თქმულება, —
და მილიონთა შეჰკრა არმია,
ძმობად, გმირობად და ერთგულებად...

გასჭრეს პლანეტის სიგრძეც, განივიც,
და გვაოცებენ სასწაულებით:
მაღლა ტიტოვი და გაგარინი,
დაბლა სხვა გმირთა წყება ულევი.

მოდის სიცოცხლის ტალღა მღელვარე,
მზემ გამოაღო ყველა სარკმელი,
და კომუნიზმის მაღალ მწვერვალებს,
დღეს ქართლიდანაც ვხედავთ გარკვევით.

კრემლს, კრემლს გახედეთ — სიბრძნით
შემოსილს,
ელავს ლენინის დროშა გაშლილი.
დგას კომპარტიაც საქართველოსი,
შედუღებული ძმური კავშირით.



„კოლმეურნეობა კომუნიზმის სკოლაა გლეხობისთვის.“

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)

„ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავებათა ლიკვიდაცია კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი უდიდესი შედეგი იქნება.“

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)

ფოტო შ. ჩხეტიანისა



ფოტო ნ. ბატურინისა



# სიმართლე ჩვენს მხარეზეა



მთელი მსოფლიოს ხალხებს მშვიდობა და თავისუფლება სურთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი სავსებით შეესაბამება მშრომელი კაცობრიობის ინტერესებს. აღფრთოვანებით ვიწონებთ ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ ვიცით, რომ სიმართლე ჩვენს მხარეზეა. ჩვენ ომი არ გვსურს, ჩვენ გვინდა მშვიდობიანი მოლაპარაკება გერმანიასთან, რათა საბოლოოდ აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები.

ჩვენ, თადარიგის ოფიცრები და გენერლები, მზად ვართ დავუბრუნდეთ სამხედრო სამსახურს და თუ ეს საჭირო გახდა, შევებრძოლოთ მტერს, რათა კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ მას ჩვენი სამშობლოს ძლიერება.

ნიკოლოზ თავართქილაძე,
თადარიგის გენერალი.

# ბრძოლა მშვიდობისათვის

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილება — დადონ საზავო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ნიღაბს ხდის ნატოს წევრ სახელმწიფოთა ავანტურისტულ ზრახვებს, მათს იმ მისწრაფებას, რომ გამოიყენონ დასავლეთ ბერლინში შექმნილი ვითარება და მშვიდობისმოყვარე ხალხებს თავს მოახვიონ ომი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებში ომის ისტერიაა გაჩაღებული.

ასეთ პირობებში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, იმ ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახური. აგრეთვე მიღებულია გადაწყვეტილება, ჩვენში განახლდეს ატომური ბომბების ექსპერიმენტული აფეთქება.

ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებას მტკიცედ ვემხრობით, ღრმად გვწამს, რომ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა მშვიდობის და ხალხთა შორის მეგობრობის პოლიტიკაა. საბჭოთა ხალხს უნდა მშვიდობა. ჩვენს ქვეყანას მშვიდობის მიღწევა მეტად ძვირად დაუჯდა და არავის არ მისცემს ნებას ხელყოს იგი და გამოილაშქროს იმ ნათელი მომავლის წინააღმდეგ, რომელიც კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტითაა განსაზღვრული.

დ. კობახიძე,

პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორი.



,,კომუნიზმის კულტურა, რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია, ახალი, უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში.‘‘

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)





ეროვნული ბიბლიოთეკა



**კოტე ლოლაძე**

მოთხრობა

მხატვარი გ. კეშელავა

პატარა სოფელი. სურნელოვანი ხის კოხტა სახლები, მწვანე ბალახით დაფენილი ეზოები. შორით მოჩანს ზღვის ლურჯი, მოკამკამე სივრცე, რომლის მეორე ნაპირი სადღაც ჰორიზონტის იქით გადაკარგულა.

ფიჭვების ჭალის დასასრულს ლამაზი ყურეა. აქ ზღვა ყოველთვის წყნარია. წყალი გამჭვირვალე. სიღრმეში ჩანს მარგალიტივით მოელვარე კენჭები, მოსრიალე თევზები და ზღვის მცენარეულობა. სიწყნარეს მხოლოდ მეთევზეთა ხმაური თუ არღვევს.

ამ ლამაზ კუთხეში გავატარეთ ბავშვობა ლია შლარბამ, შამილ აგრბამ და მე.

ახლა, როცა თექვსმეტი წლის შემდეგ მატარებლით მომავალს გვერდით უნდა ჩამევლო ჩემი სოფლისათვის, გული მეკუმშებოდა.

მინდოდა მიმეტოვებინა მატარებელი, ჩამოვმხტარიყავი სადგურზე და ფეხით გავდგომოდი გზას.

მსურდა კვლავ განმეორებულიყო ბავშვობის ტკბილი დღეები და განცდები. მრავალმა მოგონებამ ჩაიქროლა ჩემს თვალწინ. ტკბილი უდარდელი ბავშვობა, სიყრმის მეგობრები, ბაბუა მურზაყანი... სამნი ვიყავით, სამი განუყრელი მეგობარი. ერთ დღეს ომმა გაგვყარა, დაგვაცილა; შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მრავალი დღე, თვე და წელი გავიდა.

...მატარებელი სადგურში შეჩერდა. ბაქანზე გადმოვედი, ეგებ ვინმე ნაცნობს შევხვდე-მეთქი. ცოტა ხანს ვიდექი, უცებ კივილი გაისმა. გვერდზე გახედვა ვერ მოვასწარი, ვიღაცა კისერზე ჩამომეკიდა, გულში ჩამეკრა. უცხო ქალი მკოცნიდა, ცრემლებით მისველებდა მკერდს, მე ვერ ვხედავდი მას, ისე ჩამკვროდა გულში, მხოლოდ გათეთრებულ თმას დავჩერებოდი ზემოდან.

—ჩემი ნაბა, ჩემი ნაბა!—ქვითინებდა იგი, ხმით ვიცანი, ლია შლარბა იყო — ერთი სამთაგანი. „რამ გაათეთრა, რამ დაუღარა სახე ასე?“—გავიფიქრე უმალ. თვალებში ჩავხედე და დასავით საყვარელი ადამიანი გულში ახლა მე ჩავიკარი. დავიბენით, ვერაფერი ვთქვით. სამ წუთსაც არ გაევლო შეხვედრიდან, რომ მატარებლის გამცილებელმა ხელი მომავლო და ვაგონში ამიყვანა.

მატარებელი დაძრულიყო, ვაგონების მწკრივი ნელა მიდიოდა. შორიდან ვხედავდი, ლია ბაქანზე იდგა. მოულოდნელი შეხვედრისაგან გაოგნებული ხელსაც არ მიქნევდა.

...მატარებელი სიბნელეში მიჰქროდა, თვალს რული არ ეკარებოდა. ჩემს თავს ვკიცხავდი. ნუთუ ისე დავივიწყე ჩემი ბავშვობის მეგობარი, ისინი, რომლებთანაც საუკეთესო წლები გავატარე, რომ თექვსმეტი წელი არ მოვიკითხე, უბრალო ბარათიც არ მივწერე.

ისიც ვერ ვკითხე ლიას, სადაა შამილი, დაბრუნდა თუ არა ფრონტიდან, როგორ არიან მისი მშობლები. თბილისში ჩამოსვლისთანავე ვრცელი ბარათი მივწერე, ვუამბე ჩემი ცხოვრების განვლილი გზა, თან ვთხოვდი, რამდენიმე დღით ჩამოსულიყო. ერთ კვირასაც არ გაუვლია, მივიღე პასუხი. ლია მწერდა: „ძვირფასო ნაბა. ახლა ღამეა, ყველას ძინავს, მხოლოდ მე ვფხიზლობ. ჩემი ბავშვობის მეგობარო, მახსოვს, როგორ გვიყვარდა ზღვის პირას სეირნობა, ფიჭვები, ზღვის ღელვა და ზვირთები, მთვარის სხივებზე მოელვარე კენჭები. აქ ხომ ზღვა სხვანაირია, რაღაც უჩვეულოდ ლამაზი, ლურჯი, მოციმციმე. რა ბედნიერები ვიყავით მაშინ... არც დარდი, არც მწუხარება, არც საზრუნავი. როგორ გაიბუტებოდით შენ და შამილი თუ დავიგვიანებდი, ან ჩვენი ეზოს ლურჯ ღელვს თანასწორად თუ არ გაგიყოფდით. ნაბა! ვიცი, გიყვარდი, ეს სიყვარული წმინდა იყო, როგორც ჩვენი გულები მაშინ.

შეგხვდი... ისიც რამდენიმე წუთს. რა დაგემართა, რომ ერთი სიტყვაც ვერ მითხარი... შენ ვერ მიცანი. ან კი როგორ მიცნობდი. ჩემი შავი, გრუზა კულულები გათეთრდა, სახე მწუხარებამ შემიცვალა. ოცდაჩვიდმეტი წლის ქალი ღრმა მოხუცს ვგავარ. ყველაფერი ეს ლოდინმა, ხანგრძლივმა ლოდინმა დამმართა. ველოდები ყოველ დღე, ყოველ ღამე. ვიცი, კარგად ვიცი არ დაბრუნდება... ვერ შევეჩვიე, ვერ ამოვიგდე გულიდან შამილი. გახსოვს, საშუალო სკოლის დამთავრების დღე? როგორ მიგვიხაროდა შინ! ძია კუჩკას საჩუქრები?! რა ბედნიერები ვიყავით, იმ დღეს ხეც ლამაზი იყო და ბუჩქიც. მდინარეც რაღაც სხვა ხმაზე ჩუხჩუხებდა. მაშინ მე თქვენით, შენით და შამილით ვამაყობდი. ორივენი მიყვარდით, მაგრამ შამილი მაინც სულ სხვა იყო ჩემთვის, მისი ლამაზი, უძირო, ლურჯად მოელვარე თვალები, მშვილდივით წარბები, მისი ღიმილი. ოჰ, ნაბა, რა დამავიწყებს მის ტკბილ სიმღერას!

გახსოვს: ჩვენ სამივე ბუჩქებში ვიყავით დამალულნი, როცა ბაბუა მურზაყანი მამაჩემთან მიგზავნეს. გვეშინოდა. ამაყ მოხუცს უარი არ ეთქვა აგრბებისათვის ქალის მითხოვებაზე. შლარბებს და აგრბებს შორეულ წარსულში სისხლი ემართათ და მოხუცი ძველ ჩვეულებას მისდევდა. შენ ჩაეკარი გულში ძია მურზაყანს, სახეგალიმებულმა თანხმობა რომ გვანიშნა. მე კურდღელივით მოვკურცხლე სახლისაკენ, თითქოს არაფერი ვიცოდი.

ერთი კვირა ვიყავით ერთად. შამილი ჩემს ხუჭუჭა თმაში ჩამალავდა ხოლმე თავს, გაინაბებოდა და ბედნიერები ვიყავით. ნუთუ ასეთი ბედნიერება არსებობს? ვერ ვძღებოდი მისი თვალების ცქერით, მისი სუნთქვა ახლაც მესმის. შენ არ იცი როგორი სიყვარული შეუძლია ქალს. მთელი საათობით ვზივარ ჩვენს საყვარელ ადგილზე, თევზის ქარხნის გვერდით. ყოველი ქვა, კენჭი, ყოველი ტალღა იმ ბედნიერ დღეებს მაგონებს, როდესაც ერთად ვიყავით.

ომის პირველ დღეებიდანვე, როგორც კი გამშორდით თქვენ, ჩემი ბავშვობის მეგობრები,—რაღაც ჩამწყდა გულში, ჩამწყდა და აღარ გამთელებულა. ვგრძნობ, ის იარა სიკვდილამდე მიმყვება.

არ გეგონოს, რომ სულ დარდს მივეცი თავი. მე ახლა ადამიანების აღზრდის საქმეს ვემსახურები. შამილისა და ჩემი პირმშო დავავაჟკაცე. მამამისს გავს. როცა ეზოში შემოაბიჯებს, შამილი მოდის-მეთქი, ასე მგონია.

ნაბა, ძვირფასო! ბევრი რამ მინდა მოგწერო, ბევრი რამ გიამბო.

ფრონტზე თქვენი წასვლის შემდეგ ექვს თვესაც არ გაუვლია, შამილი დამიბრუნდა. ბედმა გამიღიმა და მისი პატარა ნაწილი ჩვენი სოფლის ახლოს დაბანაკდა. ჩვენ იქ ბინა მოგვცეს. შამილი ნაწილში სამხედრო წვრთნას გადიოდა. მთელი ექვსი თვე ერთად ვიყავით. ეს თვეები სიხარულისა და დიდი წამების დღეები იყო. დიდხანს არ გაუვლია. მორიგი საბრძოლო დავალებების შესრულების დროც დადგა. ესკადრილია გათენებისას შეუდგებოდა საბრძოლო მოქმედებას. მფრინავების ცოლებმა ზეპირად ვიცოდით როდის რამდენი თვითმფრინავი გაფრინდებოდა. ხუთნი ვიყავით, ხუთი მეუღლე, სხვებთან ერთად ჩვენი ხუთიც გაფრინდებოდა და გულის ფანცქალით ველოდით მათ დაბრუნებას. ყველანი იმაზე ვფიქრობდით, რომ გამარჯვებული დაბრუნებულიყვნენ ჩვენი ვაჟკაცები.

...ჰორიზონტზე ჯერ ერთი თვითმფრინავი გამოჩნდება, შემდეგ მეორე. იცი, რომ ცხრა გაფრინდა, უკან რვა ბრუნდება. ვისი თვითმფრინავი არ ჩანს?! ტანში ჟრუანტელი მივლის, მუხლები მიცახცახებს, გული მეკუმშება და უცებ სადღაც შორეული ღრუბლებიდან მეცხრეც გამოსრიალდება. შუბლიდან ცივ ოფლს ვიწმენდ და მუხლმოკვეთილი ვეშვები სკამზე. გახარებული მიმოვიხედავ, ვგრძნობ, რომ სხვებსაც ასევე ემართებათ, თვალებიდან სიხარულის ცრემლები სცვივათ.

ძნელია ეს განცდა, განცდა მოლოდინისა. და იცი, ექვსი თვე გრძელდებოდა ეს სიხარული და ტანჯვა!

ჩვენ თანახმა ვიყავით ყოველდღე განგვეცადა ეს, ოღონდ ისინი უვნებლად დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ის, რაც ჩვენ გვსურს, ყოველთვის როდი სრულდება. დღეს ერთი არ დაბრუნდებოდა, ხვალ—მეორე. ყოველთვის ვიზიარებდი მეგობრის მწუხარებას და მაინც გულში სიხარულის ზღვა ბობოქრობდა: ჩემი ხომ დაბრუნდა, ჩემი, ხომ ცოცხალია!

ოჰ, ნაბა, ერთხელ ჩემიც არ დაბრუნდა. არ დაბრუნდა და მას მერე, ველოდები. შამილი მიწას არ მიუბარებია, ჩვენმა ლამაზმა ზღვის ტალღებმა ჩაიკრეს გულში. ის ხომ ზღვის შვილი იყო და ზღვამ წამართვა.

ჩამოდი ჩემთან, შენი სიყრმის მეგობართან, ნახე შენი მეგობრის შვილი, ვისაუბროთ ბავშვობაზე, იმ წმინდა სიყვარულზე, რომელიც გვაკავშირებდა შამილს, მე და შენ...“



„სკპ აყენებს ამოცანას გადაიჭრას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე მწვავე პრობლემა — საბინაო პრობლემა.“

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)

ფოტო გ. თიკანაძისა




პირველი კოსმონავტის იური გაგარინის სტატიამ, რომელიც გაგრძელებებით დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“, საყოველთაო აღფრთოვანება და მოწონება ჰპოვა. იური გაგარინი აღნიშნავს, რომ მას საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდა საბჭოთა ლიტერატურა. თავის საყვარელ პოეტებს შორის პირველმა კოსმონავტმა დაასახელა ქართველი საბჭოთა პოეტი ალეკო შენგელია.

# დიდება

## ვარლამ ქურული

—სასწაულია! —
კვლავ გაჰკივის მთელი სამყარო,
როდესაც მძლავრი თანამგზავრი
სივრცეში მიჰქრის.
და მინდა, ლექსო,
გულის ძარღვზე ამონაყარო,
ადიდო ხალხი,
მადლობელი სამშობლოს ცისკრის.
დიდება იმას,
ვინც მოდრიკა ამუ-დარია,
წყალით გაამლო ყამირები
გვალვით პირმშრალი;
ახლა გადამწვარ
ტრამალებსაც გაუხარია;
მწვანე ბაღებით იღიმება
ცხელი ქვიშნარი.
დიდება იმას,
ვინც ტყეებით ჩაკეტა ქარი,
გააწალკოტა უნაპირო უდაბნოეთი.
იზრდება ბუჩქი,
სილამაზის გუშაგად მდგარი,
თვით აგამღერებს,
თუნდ არ იყო მართლა პოეტი.
დიდება იმას,
ვინც სიცოცხლე მისცა ტაიგებს
და ტურბინებში მოაქცია შმაგი ანგარა.
დადგება დღე და,
ბობოქარი თერგიც გაიგებს,
ადამიანი კაშხალებთან რისთვის დამდგარა.
დიდება იმას,
ვინც დაუშრო კოლხეთს ჭაობი,
აალივლივა თბილისთანაც
ზღვა ლაჟვარდული.
იალბუზს დაძრავს
დღეს ვეფხვური გამბედაობით,
ვისაც სიმტკიცე და
სული აქვს ახალგაზრდული.
სულს რა დააცხრობს,
თუ მზის ნახვა კაცმა ინება,
ნატრობს მთვარეს და
ვენერასაც ესტუმროს მალე.
მოაქვთ შვიდწლედებს
აზრის, ქვეყნის აღორძინება,
დიდი ძეგლები აქ რჩებიან;
წლები კი წავლენ.

# სხვადასხვა

## სამკურნალო მცენარეების ზეღლი

ქობულეთის სამკურნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ი. ნაკაიძე) 1950 წელს დაარსდა. მის ტერიტორიაზე მოთავსებულია ხუთი დიდი ორანჟერეა, რომლებშიც ყოველწლიურად სამკურნალო მცენარეების მილიონობით ნერგი გამოჰყავთ.

საბჭოთა მეურნეობის ტერიტორია 160 ჰექტარს მოიცავს, აქ ხარობს 450 სახეობის მცენარე. მათ შორის არის მრავალი ძვირფასი ჯიში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მხოლოდ ამ კუთხეში გვხვდება.

სუბტროპიკული და ტროპიკული სამკურნალო მცენარეების მოყვანის გარდა, მეურნეობაში დიდი სამუშაოები წარმოებს საქართველოში გავრცელებული ველური სამკურნალო მცენარეების შეგროვება-გახარებისა და ნახევრად გადამუშავებისათვის.

საბჭოთა მეურნეობის წამყვანი კულტურაა ალოე, რომლისგანაც ფარმაცევტული ქარხნები მრავალ ეფექტიან სამკურნალო პრეპარატებს ამზადებენ.

დიდი ხვედრითი წონა აქვს აგრეთვე ე. წ. თირკმლის ჩაის. ეს ძვირფასი სამკურნალო კულტურა შარშან 20 ჰექტარზე ეთესათ. ამ ფართობზე საბჭოთა მეურნეობამ 8 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი პროდუქცია მოიყვანა.

ორიოდე წელია რაც ახალი ზელანდიიდან შემოიტანეს და მეურნეობაში გააშენეს სამკურნალო მცენარე „ფრინველის ძაღლყურძენა“. ძაღლყურძენისაგან მზადდება უძვირფასესი ჰორმონალური პრეპარატები კორტიზანისა და სხვათა სახით.

მეურნეობის კოლექტივმა შარშან გეგმით გათვალისწინებული 1.000 კილოგრამის ნაცვლად 1.800 კილოგრამი ძაღლყურძენას თესლი მოიწია. ძვირფასი თესლი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეობებს გაეგზავნა. ეს კულტურა სხვა მეურნეობებში თესლს არ იძლევა, მას მხოლოდ ნედლეულის მისაღებად აშენებენ.

ამჟამად დიდი კვლევითი სამუშაოები წარმოებს: ვნების ყვავილზე, გველის რაუვოლფიასა და სხვა მცენარეებზე, რომლებიდანაც სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატები მიიღება.

ქობულეთის სამკურნალო მცენარეების საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. შარშან მეურნეობამ სახელმწიფოს მილიონ 200 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება მისცა.

მთელი კოლექტივის უანგარო და თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ საბჭოთა მეურნეობამ უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ერფურტში სამკურნალო მცენარეთა, მებაღეობისა და დეკორატიული მცენარეების საერთაშორისო გამოფენაზე.

შვიდწლედის მანძილზე კიდევ უფრო დიდი პერსპექტივებია დასახული საბჭოთა მეურნეობის წინაშე. მნიშვნელოვნად გადიდდება ალოეს, თირკმლის ჩაის, ფრინველის ძაღლყურძენას, თავყვითელას, სათითურასა და სხვა მცენარეების გაშენება. მეურნეობა კვლავ თავის საპატიო წვლილს შეიტანს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

გ. მებუკე

# სხვადასხვა

### 60 ვაგონი ხე-ტყე ერთი ხისაგან

სექვოია, ანუ მამონტის ხე, გიგანტური მცენარეა, მისი სიმაღლე 120 მეტრს აღწევს, დიამეტრი — 16-20 მეტრს. სექვოია უძველესი გარდამავალი მცენარეების რიცხვს ეკუთვნის და მისი ბუნებრივი განახლება არ მიმდინარეობს.

ეს ხე თავის სამშობლო ამერიკაში მხოლოდ 26 ადგილას გვხვდება. საქართველოში, ყირიმსა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში სექვოია ხელოვნურად არის გაშენებული.

სექვოია გვაოცებს გიგანტური აღნაგობით: ხის ტანში შეიძლება ამოვჭრათ თალი, რომელშიც თავისუფლად გაიქლის ავტომანქანა. ქარიშხლისაგან დალუპული ერთ-ერთი სექვოიას წონა 1.000 ტონა იყო, მისგან მიღებული ხის მასალის გადაზიდვას 60 სატვირთო ვაგონი დაჭირდა.

სექვოიას აქვს სქელი, მოყავისფრო ქერქი, რომელიც ხეს ხანძრისაგან იცავს. მერქანი მეტად მსუბუქია, საუკეთესოდ უძლებს ტენს, იყენებენ ბოძებად, წყალსადენის მილებად, ფანქრის დასამზადებლად და სხვ.

### ხორბლის ისტორიიდან

ხორბალი ყველაზე უძველესი კულტურაა, რომელსაც კაცობრიობა საკვებად ხმარობს. მეცნიერთა გამოკვლევით მტკიცდება, რომ 10 ათას წელზე მეტია, რაც ადამიანებმა მისი გამოყენება ისწავლეს.

ხორბლის გაშენებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქალებს. შორეულ წარსულში ოჯახის უფროსად ქალი ითვლებოდა. ქალს ევალებოდა ოჯახის მოვლა-პატრონობა და მეურნეობის გაძღოლა. მამაკაცის მოვალეობას კი მხოლოდ ნადირობა შეადგენდა. შინ დარჩენილი ქალები სხვადასხვა მცენარეთა ფესვებსა და ნაყოფს აგროვებდნენ. ამ ნაყოფთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ველური ხორბალი, რო-

სხვადასხვა

მელსაც მაწიერობაც ჰქონდა და ხანგრძლივადაც ინახებოდა.

ადამიანებმა თანდათან ისწავლეს ხორბლის თესვა და პრიმიტიული წესით მოვლა-დამუშავება. შემოსულ ხორბალს პირველად მშრალად ჰამდნენ, შემდეგ ქვის დახმარებით დაიწყეს დაღერღვა. დაღერღილ ხორბალს ჯერ წყალში ხსნიდნენ და უმად ჰამდნენ, მერე კი მისგან ფაფის გაკეთება ისწავლეს.

ერთმანეთისაგან განსხვავებენ ე. წ. მაგარსა და რბილ ხორბალს. რბილ ხორბალში ცილები ნაკლებია, მაგარ ხორბალში კი ცილების რაოდენობა შედარებით მეტია. მაგარი ხორბლის სამშობლოდ აფრიკა ითვლება, რბილი ხორბლის სამშობლო კი საქართველოსა და სომხეთის მთიანეთია. ფრიად საგულისხმოა, რომ მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის შემონახული ხორბლის იმდენი ჯიში, რამდენიც საქართველოში.

ხორბალში, ამ ძვირფას საკვებ პროდუქტში, შედის ყველა ის ნივთიერება, რაც აუცილებელია ადამიანისათვის.

კაცობრიობა ამჟამად ყოველწლიურად 140 მილიონ ტონამდე ხორბალს იღებს. ხორბლის სათესი ფართობის მიხედვით საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია — ჩვენს მინდვრებში იზრდება ხორბლის ყველაზე საუკეთესო ჯიშები, რომლებიც 26 პროცენტამდე ცილებს შეიცავენ. ამერიკის შეერთებული შტატების საუკეთესო ხორბლის შედგენილობაში ცილები 17 პროცენტია, ინგლისური ხორბლის შედგენილობაში კი — მხოლოდ 11 პროცენტი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში ყველაზე კარგად ხარობს მაგარი სახეობის ხორბალი, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ფასი და მოწონება აქვს მსოფლიო ბაზარზე.

# ქალაქი ღრუბლებს ზემოთ

მართლაც რა შესაფერისად უწოდებიათ ამ უჩვეულო ქალაქის მთავარი ქუჩისათვის „მეგობრობის ქუჩა“. ამ ქუჩის სახელი სწორედ იმ დროის სახსოვარია, როცა ღალიძგას ღრმა ხეობაში კარვებს შლიდნენ მრავალი ეროვნების ადამიანები — ქართველები, რუსები, მოლდაველები, უკრაინელები, ესტონელები, სომხები, ბერძნები, თათრები, ჩუვაშები... ეს ღრუბლებს ზემოთ ოც კილომეტრზედ გადაჭიმული ის ქალაქია, რომლის ბარაკების ნაცვლად აღმართულ მრავალსართულიან სახლებში ცხოვრობენ და ჰორიზონტის დამუშავებას ერთად აწარმოებენ თოთხმეტი-თხუთმეტი ეროვნების წარმომადგენლები.

ამ ქალაქში არა მარტო მეგობრობის ქუჩას, არამედ ყველა სხვა მაგისტრალსაც საგანგებოდ გამომხატველი სახელი ჰქვია. ძველი მკვიდრნი, როგორც კი გაგიცნობენ, გიამბობენ ადამიანის უდიდეს გმირობაზე: „ალიაბიევის ქუჩა“ აფხაზეთში პირველი სოციალისტური შრომის გმირი მეშახტის სახსოვარია... „მოკრინსკის ქუჩა“ კი გვაცნობს იშვიათ სიმდიდრეთა პირველ აღმომჩენს.

1923 წელს ძერჟინსკიმ, ლენინის დავალებით, არქივის მტვერი მოაცილა ყველა მასალას კავკასიონის გულში დაფარულ განძზე. ეს განძი ქვანახშირი იყო!

არქივებში ბევრი რამ იყო დაფარული: აი, კავკასიის მეფისნაცვლის წერილი. იგი უმორჩილესად მოითხოვდა დაეწესებინათ მდინარე ღალიძგას ხეობის შესავალში პოლიციელთა პოსტი, უახლოეს სოფელში კი — საპოლიციო უბანი. მოწყალე რეზოლუცია მონარქისა: „თანახმა ვარ...“ ანდა ალბომი, რომელშიც ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით აღბეჭდილია ყოველივე წვრილმანი იმისა, თუ როგორ ეწვია 1900 წლის სექტემბერში ღალიძგას სათავეებს მეფის მინისტრი ერმოლოვი. ძერჟინსკის ხელში აღმოჩნდა აგრეთვე ამერიკის ქვანახშირის მეფეთა, გერმანელ, ინგლისელ, ფრანგ, იტალიელ, ბელგიელ ვაჟბატონთა დასტა-დასტობით თხოვნა კონცესიების შესახებ.

ამრიგად, იყვნენ პოლიციელებიც, კონცესიებიც, ალბომებიც... არ იყო მხოლოდ სულ უბრალო რამ — ქვანახშირის სამრეწველო დამუშავება. გავიდა ცოტა ხანი მას შემდეგ, რაც მოკრინსკის ექსპედიციამ ილიჩის დავალება ბრწყინვალედ შეასრულა და ქართველმა ხალხმა პარტიას უპატაკა, რომ გვირაბგამყვან დონეცელებთან ერთად ძვირფასი ილიჩის ნება-სურვილი განვახორციელეთ, ის, რასაც გვირჩევდა ლენინი მის შესანიშნავ წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი: „ნავთი, მარგანეცი, ქვანახშირი( ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი — მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები...“ — შევასრულეთ.

მკითხველო, თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, რომ მეგობრობის ქუჩა, ალიაბიევის ქუჩა, მოკრინსკის ქუჩა, თეატრალური ქუჩა — ახალი კულტურის სასახლის პატივსაცემად, — ყველანი ტყვარჩელშია, მეშახტეთა, ენერგეტიკოსთა და, რა თქმა უნდა, აგრეთვე მშენებელთა ქალაქში. ტყვარჩელში განუწყვეტლივ აშენებენ. აშენებენ ბევრს და ახლა ყველაზე ხშირად საკუთარი მასალით — „ტყვარჩელიტით“. თავდაპირველად ადგილობრივ სამშენ მასალათა ქარხანაში „ტყვარჩელიტით“ მხოლოდ იაფი კედლის ბლოკებს ამზადებდნენ. ახლა კი, როცა აღიარეს მისი ძალა, ჩინებულად დაიწყეს დიდი დეტალების გამოშვება ბინებისათვის, რომელთაც მემონტაჟეები აწყობენ!

აქ ჩამოსულს გულითადი მასპინძლები დაუყოვნებლივ აჩვენებენ მაღაროელთა კულტურის სასახლეს, ენერგეტიკოსთა კულტურის სახლს, სულ ახლახან ღალიძგაზე გაყვანილ ხიდს, უცილობლად წაიყვანენ ქალაქის სტადიონზე, თავს შეიქებენ ახალი წყალსადენით და მეშახტეთა კურორტის უაღრესად იშვიათი სამკურნალო წყლის წყაროებით. და როცა ყოველივე ამას ჯეროვნად შეაფასებთ, გაუწყებენ ყველაზე მთავარს, — ოდნავ შესამჩნევი ღიმილით გეტყვიან, რომ, რა თქმა უნდა, გინახავთ ჩვენი ჭირვეულა — ღალიძგა. მერედა რა, განსაკუთრებული არაფერია, წყალი არც ისე გამჭვირვალეა? ჰოდა, ცოტა გვადროვეთ — წყალიც დაიწმინდება, შიგ თევზებიც იდგაფუნებენ! მაგრამ ეს არსებითი როდია, მეორეხარისხოვანია, მთავარი ის არის, რომ ღალიძგა ამუშავებს საბჭოთა კავშირში პირველ შახტ-ჰიდროელექტროსადგურს.

მალე პარტიის XXI ყრილობის შემდეგ თითქმის იქ, სადაც თოვლის ხაზი გადის დიდი ხოჯალის ქედზე, მანამდე მიუკარებელ ადგილებში გაისმა აფეთქებათა ხმა. მდინარეში გრუხუნით ეშვებოდა ასწლოვანი ხეები და იქ, სადაც ატალღებული მიწა მოფენილი იყო ნაგრიგალევი ხე-ტყით, ენერგიულად წმენდნენ სამშენებლო მოედნებს. იქვე შორიახლო საძირკველს უყრიდნენ საცხოვრებელ სახლებს.

ქედის სიღრმეში გაიჭიმა მიწისქვეშა გასასვლელები — ძირითადი და დამხმარე შტოლნები. წინ, შორს, შტოლნების შესაყარიდან ექვს კილომეტრზე, დაიწყო ოთხასმეტრიანი შახტის გაყვანა, რომლითაც უზარმაზარი სიმაღლიდან დაეშვება ადამიანის ხელით აქ მიყვანილი მდინარე ღალიძგა. იქ, სიღრმეში, წყალი აამოქმედებს ტურბინებს, გამოიმუშავებს იაფ ელექტროენერგიას. გამოანგარიშებულია, რომ თუ ტყვარჩელის ახლანდელი თბოელექტროსადგურის კილოვატი ენერგია რვა კაპიკი ჯდება, შახტ-ჰიდროელექტროსად-



გურში გამომუშავებული კილოვატი ენერგია დაახლოებით ერთი კაპიკი ეღირება.

გადამუშავებული წყალი შახტ-ჰიდროელექტროსადგურიდან უკანვე, მდინარის ჩვეულებრივ კალაპოტში დამხმარე შტოლნით წავა, სრულიად იზოლირებულად, შახტის მომუშავე უბნების გვერდის ავლით.

უკვე თითქმის სამ კილომეტრზე შევიდნენ წიაღის სიღრმეში მიწისქვეშა მალემსრბოლი — გვირაბგამყვანები, რომელთაც დიდი სამამულო ომის ვეტერანი ნიკოლოზ ბახტაძე მეთაურობს. ზემყარ კლდოვან ქანებში ბახტაძის გვირაბგამყვანები დღე-ღამეში ოთხნახევარი-ხუთი მეტრით მიიწევენ წინ. ეს ერთიორად აღემატება დავალებას!

აქებენ, პატივს სცემენ ნიკოლოზ ბახტაძესა და მის ახალგაზრდა მოწაფეებს. მე კი არ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ისინი განსაკუთრებით გამოირჩევიან ტყვარჩელის სხვა მცხოვრებთა შორის.

ამას წინათ აქ ასეთი შემთხვევა მოხდა. სადღაც, ლავის ზემოთ, გაიბზარა განახერხი, შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე... წამიც, და ქანის უზარმაზარი ნამსხვრევები მთის ზვავივით წამოვიდოდა ქვემოთკენ, გზაზე წალეკდა ყოველგვარ სამაგრებს. ქანები, ბიგები, განახერხები — ყველაფერი ერთად აირია, ყველაფერი შეერთდა, რათა მოესპო, გაენადგურებინა ადამიანები.

ორ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა გიორგი მეტრეველის ბრიგადის მეშახტეთა მცირერიცხოვანი ჯგუფისა და აბობოქრებული სტიქიის ორთა ბრძოლა. ადამიანებმა არ დაიხიეს უკან, გადაარჩინეს ლავა და ახლა მომავალი, 1962 წლის ანგარიშში მუშაობენ!

ასეთები არიან ისინი, ტყვარჩელის მცხოვრებნი, ამ ღრუბლების ზემოთ მდებარე ქალაქის მშრომელნი, ისინი ვინც შვიდწლედის დიად გეგმებს ხორცს ასხამენ.

ილია მუხაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპარსული არაკები

• • •

ერთი მეთევზე ყოველთვის ზღვის თევზებს იჭერდა და ბაზარზე ყიდდა. ერთ დღეს დაიჭირა ცოცხალი თევზი, რომლის მსგავსი ჯერ არ დაეჭირა. გულში გაიფიქრა:

— თუ თევზს ბაზარზე გავყიდი, ორი-სამი ფოლუსის მეტს ვერ ავიღებ, უმჯობესია ცოცხალი თევზი მეფეს მივართვა, რადგან იგი მეტად დამასაჩუქრებს.

ერთი სიტყვით, თევზი მეფესთან წაიღო. როდესაც მეფემ თევზი დაინახა, ძალიან მოეწონა, გამხიარულდა და ბრძანა, რომ მეთევზისათვის ასი რუფია მიეცათ. ვეზირმა, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა, მეფეს წასჩურჩულა:

— ერთი თევზისთვის ამდენი ნაღდის მიცემა არ ღირს.

მეფემ უპასუხა:

— რომ არ მივცეთ, სირცხვილია, რადგან უკვე ნაბრძანები მაქვს.

ვეზირმა უთხრა:

— მეთევზეს ჰკითხეთ, ეს თევზი დედალია თუ მამალი. თუ იტყვის დედალია — მამალი მოსთხოვეთ, და თუ იტყვის მამალია — დედალი მოსთხოვეთ. მეთევზე ამას ვერ შეძლებს და საჩუქარსაც ვერ მიიღებსო.

მეფეს ვეზირის რჩევა მოეწონა და მეთევზეს ჰკითხა:

— ეს თევზი დედალია თუ მამალი?

მეთევზემ უპასუხა:

— საშუალო სქესის არის.

მეფემ ბევრი იცინა და ორასი რუფიით დაასაჩუქრა.

• • •

ერთმა მეფემ მჭედელს უბრძანა, კარგი ჯავშანი გამოეჭედა მისთვის. მჭედელმა გამოჭედა და მივიდა მეფესთან. მეფემ გამოცდის მიზნით ჯავშანი მიწაზე დადო, ხმალი დაარტყა და ორად გააპო. მჭედელს უბრძანა:

— თუ სხვისთვისაც გააკეთებ ასეთ ჯავშანს, თავს ორად გაგიპობ.

მჭედელი შინ წავიდა. მან ეს ამბავი ქალიშვილს უამბო. ქალიშვილმა ურჩია, ჯავშანი ჩემთვისაც გააკეთე, მეფესთან უნდა წავიდეო. ერთი სიტყვით, მჭედელმა ჯავშანი გამოჭედა. ქალიშვილმა ჩაიცვა იგი, ხელში ხმალი აიღო, მეფესთან მივიდა და მოახსენა:

— ეხლა გამოსცადეთ ჯავშანი!

მეფემ უთხრა:

— რატომ ჩაგიცვამს?

უპასუხა:

— ეჰ, ბატონო! წესია, რომ ჯავშანი ტანზე გამოიცადოს. ამიტომ ჩავიცვი.

მეფეს მოეწონა ეს სიტყვა და დაასაჩუქრა.

სპარსულიდან თარგმნა
მზია სულაძემ

## სიცოცხლის ფასი

„კეთილი საქმე ყოველთვის ფასდებაო“ — ნათქვამია ძველებურ ინგლისურ ანდაზაში, და აი, როგორ დარწმუნდა ამ ანდაზის სიმართლეში ერთი ინგლისელი მეტყევე, რომელმაც თავი არ დაზოგა და დახრჩობას გადაარჩინა ქალი... თავისი ძაღლით. მან ორი ჯილდო ერთად მიიღო· გირვანქა სტერლინგი — წყალწაღებულთა გადამრჩენი საზოგადოებისაგან და ათი გირვანქა სტერლინგი — ცხოველთა დამცველი საზოგადოებისაგან.

## იცით თუ არა თქვენ?

რომ მუქი ფერის სათვალე, რომელიც თვალს მზისაგან იცავს, გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ძველს ეგვიპტეში? იმ დროს ამდაგვარი სათვალე საარაკო ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ფარაონისა და მისი ახლობლებისათვის.

ტუტანხამონის სამარხში იპოვეს ასეთი სათვალე ორი მუქი შუშით და ბრინჯაოს ჩარჩოთი, რომელიც სპეციალურ ბუდეში ინახებოდა.

# ცეკვავს








ეროვნული
ბიბლიოთეკა








ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგრესორთა ბლოკი

საბჭოთა პრესაში ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა აგრესიული სამხედრო ბლოკის — სენტოს ფრიად საგულისხმო დოკუმენტი. იგი აშკარად მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სენტოში შემავალმა ქვეყნებმა ჯერ კიდევ 1958 წელს შეიმუშავეს გეგმები, რომ საომარი მზადება აწარმოონ სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ.

სენტოს ატომური მანიაკების ვარაუდი ის არის, რომ თურქეთში, ირანსა და პაკისტანში განლაგებული ბაზებიდან შეეცადონ ვერაგულად მიაყენონ დარტყმა საბჭოთა კავშირს, ხოლო შემდეგ უმალვე ფერფლად აქციონ ქალაქები და დასახლებული პუნქტები ირანისა და პაკისტანის ტერიტორიის ბევრ რაიონში, წინასწარ განზრახვით გადააქციონ ეს ტერიტორია სიკვდილის ზონად. დაგეგმილია 40 ატომური დარტყმა მიაყენონ აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიას.

რა არის სენტო? რატომ შეაკოწიწეს იგი დასავლეთის იმპერიალისტებმა?

სენტო (ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია) თავდაპირველად შეიქმნა როგორც ბაღდადის პაქტი (ეგრეთ წოდებული „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაცია"). მისი სულისჩამდგმელი იყო ახალი ომის ცნობილი გამჩაღებელი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, აწ განსვენებული ჯონ ფოსტერ დალესი. იგი ჯერ კიდევ 1953 წელს მოითხოვდა შექმნილიყო „ჩრდილოეთ იარუსი" — არაბეთის ჩრდილოეთით, ე. ი. საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრებზე მდებარე სახელმწიფოთა ბლოკი.

დალესის ამ იდეას მხარი დაუჭირეს თურქეთისა და ერაყის მაშინდელმა მთავრობებმა, რომლებმაც 1955 წლის 24 თებერვალს ბაღდადში ხელი მოაწერეს „ურთიერთთანამშრომლობის" ხელშეკრულებას. იმავე წლის 4 აპრილს მათ მიემხრო ინგლისი, 23 სექტემბერს — პაკისტანი, 3 ნოემბერს — ირანი. 1957 წელს ამერიკის შეერთებული შტატები ფაქტიურად გაერთიანდა ბაღდადის პაქტში, თუმცა განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ მის სამხედრო კომისიაში.

ახალი სამხედრო ბლოკის სტრუქტურა განსაზღვრეს მის მონაწილეთა პირველ სესიაზე, რომელიც 1955 წლის ნოემბერში გაიმართა ბაღდადში (აქედან წარმოიშვა ბლოკის სახელწოდებაც). ამ სესიის გადაწყვეტილებით ბლოკის უმაღლესი ორგანოა მუდმივი საბჭო, რომელშიც შედიან მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. საბჭოს ფუნქციაა განიხილოს „ყოველგვარი პრობლემა — პოლიტიკური, ეკონომიური თუ სამხედრო".

ამ საბჭოს გარდა შეიქმნა სამდივნო და სამხედრო, ეკონომიური, კავშირგაბმულობის, „ძირგამომთხრელ მუშაობასთან" ბრძოლის კომიტეტები. ყველა ამ ორგანიზაციის ადგილსამყოფელი პირველ ხანებში ქ. ბაღდადი იყო.

ბაღდადის პაქტის შექმნისთანავე ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ მისი შემადგენლობის გაფართოებას, მასში ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ჩათრევას, მაგრამ ეკონომიური და პოლიტიკური ძალდატანების მიუხედავად სირია, იორდანია, ინდოეთი და ავღანეთი არ მიემხრნენ ბაღდადის პაქტს.

ბაღდადში შეკოწიწებული პაქტი კოლონიალიზმის ახალი თავისებური ფორმაა, იგი ამერიკისა და ინგლისის მონოპოლიების იარაღია ახლო და შუა აღმოსავლეთში თავიანთი ეკონომიური პოზიციების შესანარჩუნებლად.

„ერთობლივი თავდაცვის" და „კომუნიზმის საფრთხის" ყალბი საფარით იმპერიალისტები აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკებს იმიტომ, რომ ჩაერიონ შუა აღმოსავლეთის ქვეყნების შინაურ საქმეებში, ჩაახშონ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგალითად, ბაღდადის პაქტის საბჭოს მეორე სესია იხილავდა „ქაშმირის საკითხს", რაც იყო პირდაპირი ჩარევა ინდოეთის საშინაო საქმეებში. როცა ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესია განახორციელეს, აგრესორთა ავიაცია იყენებდა ერაყის აეროდრომებს, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ხომალდები თავისუფლად შედიოდნენ თურქეთის ტერიტორიულ წყლებში.

ამ ფაქტებმა მნიშვნელოვნად შეარყიეს ბაღდადის პაქტი, თვალნათლივ დაანახვეს ახლო აღმოსავლეთის ხალხებს მისი არსი და მიზნები. ამ პაქტს ლახვარი ჩასცა აგრეთვე ერაყში მომხდარმა რევოლუციურმა ამბებმა, რაც 1958 წლის ივლისში მოხდა. ერაყელმა ხალხმა დაამხო მეფე ფეისალისა და ნური საიდის ხროვა, დაადგა თავისუფალი განვითარების გზას და გამოვიდა ბაღდადის პაქტიდან. ამერიკის სააგენტო იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლი იუწყებოდა, რომ ერაყის ამბებმა კატასტროფული დარტყმა მიაყენეს დასავლეთის პოლიტიკას და არარად აქციეს ბაღდადის პაქტი.

ერაყის მმართველი ხროვის დამხობა იმის საუკეთესო ილუსტრაცია იყო, თუ როგორ აფასებს ხალხი ბაღდადის პაქტის მსგავს ხელშეკრულებებს. მაგრამ დასავლეთის იმპერიალისტები ცდილობდნენ გამოენახათ ახალი ხერხი, რათა ეს ბლოკი კვლავ გამოეყენებინათ თავიანთი აგრესიული ზრახვების განსახორციელებლად. ბაღდადის ბლოკის ცენტრი გადაიტანეს ანკარაში, ხოლო თვით პაქტს 1959 წლის აგვისტოდან ეწოდა „ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია" — სენტო.

სენტოს მონაწილეთა სესიაზე, რომელიც 1959 წლის ოქტომბერში გაიმართა ვაშინგტონში, იმპერიალისტებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა ეს ავაზაკური ბლოკი სრული გაკოტრებისაგან ეხსნათ.

შეერთებული შტატების დედაქალაქში დაწყებული მოლაპარაკება გაგრძელდა თეირანში, სადაც 1959 წლის დეკემბერში გაიმართა ირანის, თურქეთისა და პაკისტანის მთავრობების მეთაურთა თათბირი.

სენტოს ბლოკის სამხედრო გეგმების განხორციელების დაჩქარებას მიეძღვნა აგრეთვე თათბირი, რომელიც გასული წლის თებერვალში გაიმართა ლაჰორში.

სენტოს ბლოკის საომარი მზადების ახალი დამადასტურებელი იყო მის მონაწილეთა სესია 1960 წლის აპრილში. სესიამ მიიღო ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შექმნისა და აგრეთვე ნატოს, სეატოს, სენტოს ერთ სამხედრო ორგანიზაციად გაერთიანების გეგმა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თურქეთის ახალმა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა სამხედრო გადატრიალების შედეგად, განაცხადა, რომ თურქეთი ერთგულია ყველა იმ ვალდებულებებისა, რაც მას აკისრია ნატოსა და სენტოს ბლოკებში მონაწილეობით. თურქეთი ნატოსა და სენტოს დამაკავშირებელი რგოლია, რადგან იგი ამ ორივე ბლოკის წევრია. მისი ტერიტორია დიდი ხანია გადაქცეულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების პლაცდარმად.



„არსებულ უფასო სამედიცინო მომსახურებასთან ერთად უფასო გახდება სანატორიუმებით სარგებლობა ავადმყოფთათვის, აგრეთვე მედიკამენტების გაცემა."

**(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)**

სენტოს აგრესიული სამხედრო ბლოკი საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. იგი ემსახურება დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკის მიზნებს, მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა კავშირს და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ ღირსეულად დაიცვან თავი, უვნებელჰყონ აგრესიული ბლოკების მუქარა და საჭირო შემთხვევაში გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ აგრესორებს.

**დ. მაისურაძე**



ჯუმბერ მეძმარიაშვილი



თეიმურაზ კუხიანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუდამ წინმავალნი

ისინი მუდამ წინ მიდიოდნენ: ილიკო გაბლიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე... ისინი ყოველთვის გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ. მიდიოდნენ მთაში და თან მიჰქონდათ მრავალი თაობის მიერ ნაანდერძევი მთის სიყვარული და მთასვლის გამოცდილება, გუმანი და ალღო, ცოდნა და ოსტატობა.

მთის სიყვარული მათ ქართველი ხალხის მთელმა წარსულმა, ისტორიამ და ლიტერატურამ, ხალხის პოეტურმა სულმა უანდერძა. მთაში სვლის გამოცდილება ქართველ მთიელთა — მებრძოლთა და მოგზაურთა, გამყოლთა და ეტიკთა მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვილმა ჩვევებმა შესძინეს, იმ ჩვევებმა, რომლებმაც პირველ საბჭოთა მთამსვლელებს — გიორგი ნიკოლაძის გუნდს—გზა გაუკვალეს საქართველოს მწვერვალებისკენ.

ცოდნა და გამოცდილება, ალღო და გუმანი თაობიდან თაობაში გადაცემული, გახა წიკლაურისა და იაგორ კაზალიკაშვილის ხელიდან მიიღეს ქართველმა მთამსვლელებმა; შემდეგი თაობები საბჭოთა ალპინიზმის ოცდაათწლიანი ისტორიის განმავლობაში ოსტატდებოდნენ და იწაფებოდნენ. ამ ისტორიამ ახლანდელი ქართველი მთამსვლელობის მეწინავენი ალპინისტური დაოსტატების მწვერვალებამდე მიიყვანა, მათ საბჭოთა კავშირის უმაღლეს და უძნელეს მწვერვალებზე შეადგმევინა ფეხი.

უფროს თაობათა მიერ კავკასიონის ყველა მხარეთა მწვერვალების მოხილვის შემდეგ, ორმოციან წლებში დიდი ტრავერსებითა და კედელთა დაძლევით, ახალი ხანა დაიწყო ალპინიზმში, ხოლო ორმოცდაათიან წლებში ქართველი მთამსვლელები გაიჭრნენ საბჭოთა ქვეყნის უმაღლესი მთიანეთის — პამირის მწვერვალებისკენ. ქართველმა მთამსვლელებმა დალაშქრეს პამირი და ახლა ტიან-შანისაკენ გაიკვლიეს გზა... ისინი ყოველთვის გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ და თან მოჰქონდათ ბუმბერაზ მწვერვალებთან შერკინებაში მიღებული გამოცდილება, გაკაჟებული ნებისყოფა და მთასვლური „ნადავლი" — ახალი სახელები შორეული მთიანეთის რუკაზე — „თბილისი", „თბილისის უნივერსიტეტი". „შოთა რუსთაველი", „ვაჟა-ფშაველა", „გიორგი ნიკოლაძე"...

ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა სახელი — გამარჯვების, მწვერვალთა ძლევის და შეუდრეკელი წინსვლის აღმნიშვნელი შეიქნა. ამ შეუპოვარი გუნდის წევრთა შორის ილიკო გაბლიანის, ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძის სახეები და სახელები პირველ თანრიგის ვარსკვლავების სიკაშკაშით ანათებდნენ. ისინი მთისა და თავისი ხალხის სიყვარულით, სულის სისპეტაკითა და მოუდრეკელობით გავდნენ ერთმანეთს: მესტიელი ბულალტერი — დინჯი და წინდახედული, დარბაისელი და მრავალნაცადი ილიკო გაბლიანი, თბილისელი ჟურნალისტი ჯუმბერ მეძმარიაშვილი, რომლის თვალებიდან სიკეთე და ადამიანებისადმი კეთილმსურველობა და სიყვარული ანათებდა, თავმდაბალი და

ილია გაბლიანი



თავდაჭერილი. სწორედ ამ სათნოებამ და გარეგანი უდრტვინველობით დაფარულმა მგზნებარებამ დააყენა მეთაურად ტოლ-ამხანაგთა შორის და წინამავლად გახადა; თბილისელი გეოლოგი თეიმურაზ კუხიანიძე — ანთებული და დაუდეგარი, გატაცებული და მუდამ მშფოთვარე...

სამივენი ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა გუნდის ყველა გამარჯვებათა თანაზიარნი და სულის ჩამდგმელნი იყვნენ. ტიან-შანის უმაღლესი და უძლიერესი მთის — „პობედას" 7498 მეტრიანი მწვერვალის დალაშქვრა მათთვის მხოლოდ გზის მონაკვეთი იყო მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალისაკენ.

უკვე ძლეული მწვერვალიდან შემობრუნებულნი, უაზრო და ბრმა მარცხის მსხვერპლი შეიქნენ ისინი, რომელთაც ცხოვრებაში კიდევ დიდი გზა ედოთ წინ.

შესანიშნავი ქართველი მთამსვლელების, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატების ილიკო გაბლიანის, ჯუმბერ მეძმარიაშვილის, თეიმურაზ კუხიანიძის სახელები და საქმენი კიდევ დიდხანს გაუნათებენ და გაუკვლევენ გზას ქართველ მთამსვლელთა მუდამ წინმავალ თაობებს, რომლებიც განაგრძობენ მათ ბრძოლასა და წინსწრაფვას.

**კოტე ჯავრიშვილი**

# ალმასის [illegible]

ორლე დგებუაძე

მოთხრობა

მხატვარი კ. მახარაძე

მბრძანებლები თუ მხედართმთავრები, განა იმიტომ მეტანებოდნენ, რომ თვალთა პატიოსანთა შორის ულამაზესი ვიყავი.

გარდა სილამაზისა, მე ხომ, ქვაზე, რკინაზე, ფოლადზე, ერთი სიტყვით, ყველა ლითონზე, ყველაფერზე, რაც ბუნებას თუ ადამიანს შეუქმნია, უფრო მაგარი ვარ.

მხოლოდ ალმასი თუ გამფხაჭნის, ჩემი ნამდვილი სახელი ხომ ადამიასია. ეს სახელი—უძლეველი, ბერძნებმა შემარქვეს.

მბრძანებლები და მხედართმთავრები სულს ლევდნენ ჩემი გულისთვის. მათ მახვილზე უძლეველობის ნიშანი ვიყავი.

ვინ იცის, რამდენი თავი გაგორდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ციალისთვის ემზირათ.

დიდხანს გადავდიოდი ხელიდან ხელში.

ავსტრიის იმპერატორმა იოსებ მეორემ, „ჩრდილოეთის სემირამიდას“, ეკატერინე მეორეს პირის სანახავი გამხადა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ერთი მბრძანებლის საკუთრება, უოქროდ ან უსისხლოდ მეორეს საკუთრება გავხდი. ჩემთან ერთად, ბლომად ეყარა ბრილიანტის თვლები რუსეთის დედოფლის სპილოს ძვლის ოქროთი მოოჭვილ ბანქოს სათამაშო მაგიდაზე, მაგრამ, მათ შორის ყველაზე უძვირფასესი ეს არისო,—ჩემზე ამბობდნენ.

დედოფალი ერთ ხანს არ მიშორებდა, მაგრამ ბოლოს, როცა თავის ფავორიტს პოტიომკინს ყირიმის რუსეთთან შეერთების განხორციელებისათვის უბრწყინვალესი თავად თავრიზელის ტიტული უბოძა, მეც ამ სახელმწიფო მოღვაწის საკუთრება გამხადა.

პოტიომკინის გარდაცვალების შემდეგ მე ისევ ეკატერინე მეორეს დავუბრუნდი და სასთუმალთან ვციმციმებდი ერთ ხანს.

დედოფალი გარდაიცვალა თუ არა, მისმა მემკვიდრემ პავლე პირველმა, სამეფო ტახტზე ადრე მე მომაშურა.

ორი წელიწადი იმპერატორის კრიალოსანს თავზე მზესავით დავნათოდი. ბოლოს, მბრძანებელმა თავის პირად სეიფში მიმიჩინა ბინა, მომიძულა რატომღაც: 1808 წელს ალექსანდრე პირველმა სეიფიდან გამომიტანა, ხავერდის ბალიშში მოწიწებით ჩამსვა და ნაპოლეონ პირველის შესახვედრად ერფრუტში გამგზავრებულმა მეც თან წამიღო. ნიშნად მეგობრობისა, რუსეთის იმპერატორმა, ბონაპარტეს ხმლის ვადაზე ამაციმციმა.

საფრანგეთში დიდხანს არ დავრჩენილვარ. ევროპის მბრძანებელმა კორსიკელმა, იმავე წელს «განთიადის დედოფლიანი» ხმალი მის ერთგულ მარშალს

**(გაგრძელება. იხ. ჟურნ. „დროშა“ № 4, 6, 7, 8)**

იოახიმ მიურატს აჩუქა და ნეაპოლიტანიის მეფობა უბოძა.

ნაპოლეონის ცხენოსანთა ჯარების სარდალი მბრძანებლის ნაბოძარ ხმალს არ იშორებდა. ამ ხმლის ვადაზე მოელვარე, არც მე ვშორდებოდი მარშალს.

ნაპოლეონის იმპერია დაიმსხვრა.

მიურატი 1815 წელს ქალაქ პიცოში სიკვდილით დასაჯეს. მისი ხმალი ვიღაც იტალიელმა ჯარისკაცმა გაიტაცა და რომში ყასაბ ჩალოს ჩალის ფასად მიჰყიდა.

ყასაბმა, ხმლის ვადას მომაშორა. სეიფში საგულდაგულოდ შემინახა, ხოლო ხმლის პირი დუქანში ხორცის საჭრელად დააგდო.

მთელ საუკუნეს დავყავი ჩალოს ოჯახში. ბოლოს ყასაბის შთამომავალმა გაკოტრებულმა მეღვინემ, ერთ ახალგაზრდა მილიონერს, გადაულოცა ჩემი თავი. ამ ახოვანმა, ეშხით სავსე მამაკაცმა ახალმოლოგინებულ მეუღლის ჩაბნელებულ ოთახში შემიტანა და კეკლუც ქალის საწოლისაკენ მისროლა. მზეთუნახავის ბალიშზე ნაკვერჩხალივით დავვარდი.

არც ამ ოჯახში ვყოფილვარ დიდხანს.

ერთ საბედისწერო ღამეს, მე—უკვე გულის ქინძისთავი, ჩემი პატრონის სასთუმალთან ვციალებდი. ფანჯრიდან ორი მამაკაცი გადმოძვრა. ორთავეს სახეს ნიღაბი უფარავდა. ჩემი ქალბატონი ზეზე წამოიჭრა, მე დამავლო ხელი. მძარცველი ქალს მივარდა, ხელიდან ჩემი გამოგლეჯა სცადა, მაგრამ ამაოდ. ქალბატონმა შეკივლება იფიქრა და ავაზაკის გრძელპირიანმა დანამ გულში გაუარა. ორი წლის გოგონამ საშინელი ხმით დაიწივლა. მეორემ ბავშვს ხმა ჩაუწყვიტა.

ავაზაკებმა იმავე ღამეს ვიღაც ჯუჯა კაცს გადამცეს.

ერთ კვირაში ისევ პეტერბურგს ვეწვიე.

კაპიტალისტმა პუტილოვმა შემისყიდა.

ამ მდიდარმა კაცმა რუსეთის დედოფალს, ალექსანდრა თევდორეს ასულს უბოძა ჩემი თავი.

1914 წლის სამ აგვისტოს, იმპერატორმა, ოქროს ჯვრის შუაგულში ჩემი ჩასმა ბრძანა და ეს ჯვარი იმავე საღამოს, რუსეთის ჯარების მთავარსარდლად დანიშნულ, დიდ მთავარს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს გულზე ჩამოჰკიდა.

სანამ დიდი მთავარი რევოლუციური რუსეთიდან არ გაიქცა და თავი ყირიმს არ შეაფარა, მის მკერდზე ვირწეოდი.

ყირიმში, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა დიდმა მთავარმა სხვა თავის განძეულთან ერთად, მეც თავის ადიუტანტ თავად კანტაკუზენს გადამცა»...

ამ გვარის ხსენებაზე გაკვირვებულმა პირტახიამ ეჭვნარევი ხმით—კანტაკუზენიო—ჩაილაპარაკა, მაგრამ მე ყურადღება არ მივაქციე. კითხვა განვაგრძე.

«...მე დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დენშჩიკმა,—მისმა ერთგულმა მსახურმა, მხატვარმა კუზმა ივანეს ძე სოროკოპინმა, ჩემი პატრონის ბრძანებით შევადგინე და ლამაზი ხელით დავწერე მატიანე ესე «განთიადის დედოფლისა».

აქ მოყვანილი ცნობები გადმოწერილია უშნოდ შეკრული ყუთიდან, რომლის შიდა ნაწილი, სხვადასხვა ხელით უხეიროდ გამოყვანილი ასოებით იყო აჭრელებული.

ასე თავდებოდა ისტორია «განთიადის დედოფლისა».

ქაღალდი დავკეცე. ყუთში ჩავდევი. თავი ავწიე. არავინ განძრეულა ერთ ხანს. მერე ვლადიმერმა ისეთი ადამიანის თვალებით შემომხედა, რომელიც ძნელად გასაგებ ვითარებაში ანაზდად გაერკვა და გაკვირვებულმა არ იცის, კმაყოფილება როგორ გამოხატოს.

ჩემთვისაც ნათელი გახდა, თუ რისი მთქმელი იყო ამ ბრილიანტის მატიანეში ნახსენები გვარი—კანტაკუზენი.

ამ განძის თავგადასავალი, ნამდვილად, ღვთისმშობლის ხატის ფათერაკის გაგრძელება იყო.

ეს ბრჭყვიალა ქვა იყო მიზეზი იმ ქალიშვილის სიკვდილისა, რომელიც საქართველოს სამხედრო გზის ახლოს, ხევში უსულოდ ესვენა.

ყუთი დავხურე, ხავერდის ნაჭერში შევახვიე.

გაფითრებულმა დიასახლისმა ნათელი თვალები მომაპყრო და ჩავარდნილი ხმით მითხრა:

— იმ ბავშვს გეფიცებით,—სარწეველისაკენ გაიხედა.—პირველად ვხედავ ამ საოცრებას... თვალები დახუჭა, და როცა ლაწვებზე სისველე იგრძნო, სახე ამარიდა. .

...სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში მიმეჩქარებოდა. ახლა, ბორის საიდოვი და სერგი სტასი სრულიად არ მაინტერესებდა. თითქოს მათთან დიდხანს მქონდა ჭიდილი და მათი სულის სიღრმეში არც ერთი კუნჭული დაუზვერავი არ დამეტოვებინოს. ამ ორ ბოროტმოქმედთან შეხვედრაზე, მათი გამძლეობის მოსინჯვაზე არც კი ვფიქრობდი. ამის მიზეზი იგორ ტამანოვი იყო, იგორი, რომელიც მე რაისამ ძალზე. უშიშარ, შეუბრალებელ, გულქვა ადამიანად დამიხატა. ამ გამოცდილ, გულდაჯერებულ «ბარონთან შებმა» თითქოს ძნელიაო, იტყოდა კაცი, მაგრამ ეს აზრი ჩემს გონებაში ქვეწარმავალივით გაძვრა და მოუსავლეთში გაუჩინარდა. ვიღაც უხილავმა გამქირდავად ჩამჩურჩულა: იგორზე უარესი გინახავს, მაგრამ წარბიც არ შეგიხრია. რაისა თუ მონუსხა, შენ ხომ ვაჟკაცი ხარ, მტრებთან ბრძოლებში გამობრძმედილი? ტუჩები კმაყოფილების ღიმილმა გამიპო. სიამაყე ვიგრძენი, ჩქარა-მეთქი, ვუბრძანე მძღოლს, როცა ავტომანქანა უკაცრიელ ქუჩებში მთელი სისწრაფით მიქროდა.

ქალაქი ორჯონიკიძე დავტოვეთ. ჩემს «გაზიკს» წინ, დახურული «კადელაკი» მიუძღოდა, შიგ, ტამანოვი, სტასი და საიდოვი იყვნენ.

მეჩქარებოდა. ჩემი ნადავლით გარიყრაჟზე თბილისში უნდა ვყოფილიყავი, ჩემს თბილისში, სადაც თავს უფრო გამოცდილად, უფრო გაბედულად და, თუ გნებავთ, უძლეველადაც ვიგრძნობდი.

* * *

სტასისა და საიდოვის დარწმუნება, რომ ჩვენ ყველაფერი ვიცოდით, შეუძლებელი გახდა. თუ ყველაფერი იცით, ჩვენ რას გვეკითხებითო, გვეუბნებოდნენ. [illegible], ვუთხარით, რომ ეს ქალი დაპატიმრებული იყო და ხარკოვის საპატიმროში იჯდა, რომ მინდიაშვილის ქალმა «ღვთისმშობლის ხატის» მოტაცების ამბავი გულწრფელად აღიარა და ჩვენ სწორედ ამ შემთხვევამ გვაიძულა მათი დაძებნა და დაპატიმრება, მაგრამ ამაოდ, ისინი არც მინდიაშვილის ქალის შესახებ ძრავდნენ კრინტს და არც სიონის ტაძრის გაძარცვაზე სურდათ ლაპარაკი.

ჩვენ სტასს მხოლოდ ხატის გატაცების გამო ვეკითხებოდით. ისე გვეჭირა მასთან თავი, თითქოს არაფერი გვცოდნოდეს, მის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულის შესახებ.

საქართველოს სამხედრო გზაზე მომხდარი ბოროტმოქმედების შესახებ ჯერ არაფერს ვამბობდით. «სველი» საქმისათვის თჯვის დაღწევის მიზნით იქნებ სიონზე თავდასხმაში გამოტყდნენო, ვფიქრობდით. მაგრამ არა, მათ ყოვლად უცოდველი ადამიანებივით ეჭირათ თავი.

ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, «იქნებ სასწაული მოხდეს და გამოვძვრეთ» ანდა «იქნებ აქ უსაფუძვლო ეჭვმა მოგვიყვანა» იყო, მაგრამ ამავე დროს გამოირკვა, რომ ეს ორეული კრინტს არ დაძრავდა, ვიდრე მათი «დირიჟორი» იგორ ტამანოვი თავის სიტყვას არ იტყოდა.

ეს ორი გამოჯაგული ბოროტმოქმედი იგორის ხსენებაზე—ენას მუცელში ჩაიგდებდნენ, გაილურსებოდნენ.

«განთიადის დედოფლის» შესახებ— ჩვენ რას გვეკითხებით, ვის ოჯახშიც იპოვეთ, იმას ჰკითხეთო, გვიპასუხებდნენ ხოლმე.

იგორ ტამანოვის დაკითხვა გადავწყვიტეთ. თუ ეს კაციც დამუნჯდებოდა, რაისა მინდიაშვილთან ტამანოვი და სტასი უნდა დაგვეპირისპირებინა. ასე უნდა გვექნა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რომ ეს უკულმართობისაგან გაუბედურებული ქალის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაგვეგდო.

...იმ საღამოს სამუშაოდ ადრე მივედი. განყოფილებაში უფროსთაგანი ჩემს გარდა, არავინ იყო. მისვლისთანავე მორიგე კომენდანტს ვთხოვე იგორ ტამანოვი მოეყვანა.

კარი გაიღო და გუშაგი მშვენიერ ტანად ვაჟკაცს შემოუძღვა. ამ კაცის ფიცხ ბუნებაზე, მის გამჭრიახობაზე თუ გამბედაობაზე რაისა მინდიაშვილისაგან ბევრი რამ გამეგონა, მაგრამ მე, როგორც გამომძიებელი, მხოლოდ ერთი ადამიანის ნათქვამს ვერ ვჯერდებოდი. გარდა ამისა, ამ კაცზე რაისა რომ ყველაფერს შეუცდომლად ვერ მეტყოდა, ამას ახლა იგორის გარეგნობა მიდასტურებდა. ტანმაღალი იყო, მაგრამ, შავგვრემანიაო, ამაში «ჩემს ნათესავ» ქალს გუნებაში ვერ დავეთანხმე,

3468

როგორც კი ამ კაცს ორჯონიკიძეში, ზუბინას ოჯახში თვალი მოვკარი.

ახლა კი, ამ მშვიდ გარემოცვაში უფრო კარგად შემეძლო დავკვირვებოდი მისი სახის ფერს თუ მის აღნაგობას, მის მომნუსხავსა თუ სულის სიღრმეში ჩამწვდომ, მართლაც რომ ღამესავით შავი თვალების ელვარებას, რომლებიც გასაოცარი სისწრაფით მოძრაობდნენ და ზვერავდნენ გარემოს.

ის შავგვრემანი არ იყო. ეშხიანი სახე თითქოს უფერული, მაგრამ მქრქალზე უფრო ღია ფერისა იყო, უფრო მსუბუქი, თითქოს გამჭვირვალე, ისეთი, როგორიც ჩაის ვარდის ოდნავ შემხმარ ფურცელსა აქვს, რომელსაც ფანჯარაში ირიბად შემოჭრილი სავსე მთვარის შუქი დაჰნათის. ულვაში შავი, მაგრამ ოდნავ თხელი. ისე, როგორც რაისა ამბობდა, ხოჭოსავით შავი თმა, ხუჭუჭი. მხრებში ლაზათიანად იყო გაშლილი. განიერ მკერდზე დაძარღვულ კუნთებს ვერც აბრეშუმის პერანგი უფარავდა და ვერც პიჯაკი.

ეჰ, ასეთ ვაჟკაცს ნათელი გზით რომ ევლო, თავის თავსაც და ხალხსაც კეთილად გამოადგებოდა, — გამიელვა აზრმა და წამოვდექი, ამაყად თავშემართულ იგორს სავარძელზე მივუთითე.

თავი ოდნავ დამიქნია. დაჯდა. ფეხი ფეხზე შემოიდო და პაპიროსის მოწევის ნებართვა მთხოვა. ამ თვალადი კაცის აბრეშუმივით შრიალა ხმა ძალზე მიამა. მჯეროდა რაისასი, მართლაც შეიძლებოდა იგორი ქალებისათვის უძილო ღამე ყოფილიყო.

პატიმარი გვერდშექცეული იჯდა. მის პროფილს თვალს არ ვაშორებდი ერთ ხანს, მაგრამ ის აინუნშიც არ მაგდებდა.

დიდხანს ვისხედით უხმოდ.

სიჩუმეს კედლის საათის ტკაკტუკი არღვევდა. იგორს შუბლი შეეკრა. ის პაპიროსის გრძლად აჭიმულ ბოლს ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა, მე კი ვფიქრობდი, რით და როგორ დამეწყო.

იმ ღამით, როგორც წესი, მხოლოდ მის გაცნობას ვაპირებდი. ნიადაგის მოსინჯვა მინდოდა. მსურდა გამეგო, თუ როგორ შეხვდა ამ მარცხს. მას ეს ჩავარდნა კატასტროფად მიაჩნდა თუ, როგორც პროფესიონალ ბოროტმოქმედს სჩვევია, მართლმსაჯულებასთან გულდაგულ მისვლას აპირებდა.

— თქვენ იგორ ტამანოვი ხართ, პეტრო ტამანოვის ბიძა, არა?—მისი მსხვერპლი ვუხსენე, რომ ამით იგორის გულის ძარღვისთვის ხელი წამევლო, მეთქვა, რომ მისი ახალი ფათერაკი კი არა, ძველიც ვიცოდი. დავაკვირდი, მას წარბიც არ შეუხრია, ისე მომიბრუნდა, თითქოს ეს რა საკითხავიაო, უნდა ეთქვა, მაგრამ შეყოყმანდა—მერე, ჩაიცინა და:

— პეტრო! ბიძა! ვინ მოგახსენათ? ერთხელ რესტორანში გამეცნო, ტამანოვი ვარო, მითხრა და მეც დავუჯერე. —ისე დამაცქერდა, თითქოს, კიდევ რა გსურსო, მეკითხებოდა.

— დაუჯერეთ, მერე...—მის გამჭვალავ მზერას თვალი ავარიდე.

— მერე ის როჰ, როგორც ნათესავს, ვინახავდი, არაფერს ვაკლებდი... მეგონა, ჩემთან ახლოს იქნებოდა. რა ვიცოდი, რომ გულდედალი იყო.

— თქვენ კი...

— მე კი ამ ქვეყნიდან გავისტუმრე... სანამ გათამამდებოდნენ, საიდოვი და სტასიც რომ... ახლა აქ არ ვიქნებოდი,—ჩაიცინა, პაპიროსი არხეინად გააბოლა, შებრუნდა,—რამ გაგახსენათ პეტრო... საკვირველია!

— ეს ისე, სიტყვამ მოიტანა, თორემ რა დროს პეტროა. ჩვენ ბევრი, უფრო სერიოზული რამ გვაქვს სალაპარაკო,—მშვიდად ვუპასუხე, თუმცა პეტროს მოკვლის ასე კადნიერად აღიარებამ ცოტა არ იყოს გამაკვირვა.

არაფერი უთქვამს, ისე შეიკრა წარბები, თითქოს ყურადღებას არც კი მაქცევდა. მოკუმული ტუჩებიდან თამბაქოს კვამლის რგოლებად შეკრული ბოლქვები ერთმანეთს მიაყოლა და თვალი ზანტად გააყოლა.

— თქვენი საქმის გამოძიება მე მაქვს დავალებული და სწორედ ამიტომ...— არ დამაცალა, სწრაფ შემობრუნდა, ფართოდ გახელილი, მომნუსხავი თვალებით კუშტად ჩამხედა.

— მე ეგ სრულიად არ მაინტერესებს!—აწეული ხმით მითხრა. ტუჩზე იკბინა,—დიახ, თქვენ იქნებით თუ ვინმე სხვა, ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ ამ საღამოს მე სალაპარაკოდ არა ვარ განწყობილი.

— ოჰო!

— დიახ, ოჰო, უბრძანეთ წამიყვანონ. როცა შემეძლება, მე თვითონ შეგატყობინებთ, მე თვითონ მოვითხოვ თქვენთან აუდიენციას,—ბოლო სიტყვას ხაზი ირონიულად გაუსვა და წამოდგა.

არც კი გაჰენძრეულვარ. ავხედ-დავხედე, გამქირდავად ჩავიცინე.

— თქვენ გსურთ როლები შევცვალოთ, ვაჟბატონო, არა?—ვკითხე და თვალი თვალში გავუყარე.

— სიცოცხლის ფასად არ ვიზამდი ამას,—თვალს არ მაშორებდა, მაგრამ სულ სხვა რამეზე ფიქრობდა.

— გასაგებია, გეთანხმებით, რომ თქვენ თქვენი სურვილები, თქვენი ინტერესები გაქვთ, მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია დაკითხვები მაშინ ვაწარმოოთ, როცა პატიმრებს მოესურვებათ? მე ხომ მარტო თქვენი საქმე არ მაბარია? დაჯექით...

— მე კი ამჟამად მარტო ჩემი საქმე მაბარია. კანონი მაძლევს უფლებას, თუ არ მსურს, შეკითხვაზე პასუხი არ გაგცეთ.—პაპიროსის ნამწვი საფერფლეზე დააგდო, ხელები შეციებულივით ისრისა ერთ ხანს, მერე გამომწვევად დამაშტერდა,—მოვრჩით? შემიძლია წავიდე?—კარს გახედა, ორი ნაბიჯი უკან გადადგა.

ჩემთვის გაუგებარი იყო, რა უნდოდა ამით ეთქვა. იგი ისე საიმედოდ იყო იზოლირებული, რომ ამხანაგებთან კავშირის გაბმის, თუ გარედან რაიმე საჭირო ცნობის მიღების იმედი არ უნდა ჰქონოდა. და როცა ასე იყო, მას არ შეეძლო საჭირო «დირექტივები» მიეცა სტასისა და საიდოვისათვის, რომ მერე მასაც ისე ელაპარაკა, როგორც მის ორ თანამოსაქმეს.

იქნებ დრო არ ეყო, რომ სათქმელი მოისაზრის?

იქნებ დაღლილია და ჯერ არ ძალუძს მომქანცველ ჭიდილში გამომყვეს? იქნებ ჯიუტობს?

იქნებ ამთავითვე სურს მაგრძნობინოს, რომ ის ჩვეულებრივი პატიმარი არ არის, რომ მის ყოველგვარ ახირებას ანგარიში უნდა გაეწიოს.

— წახვალთ, როცა ჩემი სურვილი იქნება,—შევუტიე, მედიდურად ავხედდავხედე,—იქნებ თქვენ გგონიათ რომ მართლა...

— უნდა წავიდე,—მითხრა მშვიდად და ოდნავ გაღიმებულმა ულვაშზე ხელი გადაისვა.

«ბოროტი დაცინვა!»—გამიელვა თავში, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— სად?—ვკითხე მეც მშვიდი ხმით.

— საკანში,—ახლა ოდნავ გასაგონი ხმით მიპასუხა და თვალი ამარიდა.

ნუთუ იმდენად არის თავის თავში დარწმუნებული, რომ ჩემს დამორჩილებაზე ფიქრობს-მეთქი, გავიფიქრე და რაღაცნაირად უცნაური გრძნობა დამეუფლა.

შიში?

აბა, რა დროს ჩემი შიში იყო? ისიც ჩემს სამუშაო ოთახში, სადაც ყოველი წვრილმანიც კი ჩემს უფლებებს იცავდა.

მორიდება?

აბა, რად უნდა მოვრიდებოდი კაცს, რომელსაც ადამიანის ღირსების არაფერი სწამდა და ოდნავ მოხრილ ბეჭებზე იმდენი ცოდვა ედო, რომ ამის ზიდვა, ალბათ, მხოლოდ იგორისებურ უგულო ადამიანებს შეეძლოთ.

მაშ, რა მოხდა? რად წავიფორხილემეთქი, ვიფიქრე.

თავს ძალა დავატანე, მოვიღრუბლე და ისევ, დაჯექით-მეთქი, ვუთხარი ბრძანების კილოთი.

მან თვალები დახუჭა. ერთ ხანს უძრავად იდგა, მერე თვალები გაახილა, ღრმად ამოიოხრა.

— იცით რა?—გულდაჯერებულის სიმშვიდით მომმართა და ისე შემობრუნდა, თითქოს ჩემს მისდამი განწყობილებას ვერც კი ამჩნევსო,—მე რომ კანონის წინაშე დამნაშავე ვარ, ყველასათვის გასაგებია. რეგვენი უნდა ვიყო, თავის მართლება რომ დავიწყო, ზღაპრები ვილაპარაკო. გასაჭირიდან თავის დაძვრენაზე ვიფიქრო,—თვალები დახარა, წამით ჩაფიქრდა და მერე, თავი ასწია, განაგრძო:—მე მინდა ჩემს დანაშაულზე მევე დავწერო. ეს ამბავი მარტო ჩემს საქმეში ჩასაკერებელი აღსარება კი არ იქნება, არამედ პატარა, სულ პატარა ისტორია, ჩემი, ნამდვილად საინტერესო ცხოვრებისა.

ხელები ზურგზე დაიწყო, თვალები დახარა, ცალი ფეხის წვერით იატაკს სრესა დაუწყო ისე, როგორც ამას ხელმარცხობაში გამოჭერილი პატარა შვრება ხოლმე.

მესიამოვნა იგორის სიტყვები.

იქნებ დიდი ჯაფა არ დამჭირდეს ამ გამოცდილი დამნაშავის ასალაპარაკებლად-მეთქი, ვიფიქრე.

— მე ისე აღვწერ ყველაფერს... ყველაფერს, რაც საგულისხმოა, რომ... დამერწმუნეთ, ჩემი თავგადასავალი დაკითხვის ოქმში ისე ვერ ჩაეტევა როგორც ტიბრში მონბლანი.

ტიბრში მონბლანი? ერთი მდინარე, მეორე ევროპის უმაღლესი მწვერვალი... საიდან გაჩნდა ასეთი შედარება, თუ ის ბოშაა, აქ დაბადებული, აქ გაზრდილი? საინტერესოა...

— ჩემი თავგადასავალი ნამდვილად საინტერესო იქნება. წარმოიდგინეთ, რომ ხანდახან, როცა ჩემს განვლილ ცხოვრებას მივუბრუნდები, მეც ისე ვერ ვაშორებ თვალს ამ ამბავს, როგორც კარგ საკითხავ წიგნს,—ამბობდა, მაგრამ თავი ისევ დახარა, ისევ დაუწყო იატაკს სრესა ფეხის წვერით,—მევე დამაწერინეთ ჩემი ჩვენება, ნამდვილად საინტერესო იქნება, მე მაქვს ამის უნარი, არა ერთხელ მიცდია მხატვრულად მეთქვა სათქმელი და ცუდად არ მითქვამს.

— სიამოვნებით, ვერავინ წაგართმევთ ამის უფლებას.

თავი ასწია, ბავშვურმა კმაყოფილებამ გადაურბინა, მაგრამ თვალი ამარიდა, კუთხეში მრგვალ მაგიდას გახედა, რომელზეც წყლის სურა და ჭიქა იდგა, მერე ისე ჩაილაპარაკა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო,—აი, იმ მაგიდასთან მოვთავსდები და ვწერ და ვწერ, ვიდრე სათქმელს არ ვიტყვი.

— ალბათ, დიდხანს მოუნდებით.

— ორი-სამი დღე, იქნებ მეტიც.

— მაშინ, მე სხვა ადგილს მიგიჩენთ, ისეთს, რომ ხელი არავინ შეგიშალოთ, — ვუპასუხე და ტელეფონის ყურმილი ავიღე, პირტახია გამოვიძახე.

იგორს რომ მართლა უნდოდა გულწრფელად დანაშაულის აღიარება, ამას მის საკანში მყოფი პატიმრებიც ადასტურებდნენ.

სანამ დასაკითხავად გამოვიძახებდით, იგორი, თურმე, საკნის ერთ კუთხეში იჯდა უსიტყვოდ და ღრმა ფიქრებში წასულს, პაპიროსის გარდა პირში არაფერი ჩაუდვია. როგორც პატიმრებს სჩვევიათ, ახალმოყვანილი ტამანოვისათვის ვინაობა უკითხავს ვიღაცას, მაგრამ იგორს ისე გულღვარძლიანად შეუხედავს, რომ მერე ამ უჟმურისათვის ხმის გაცემა ვერავის შეუბედნია.

დაკითხვიდან დაბრუნებული ბოშა კი სულ სხვა იყოო, გვეუბნებოდნენ. ის მშვიდად გამოიყურებოდა თურმე. საკანში შემოსულს, პატიმრებისათვის მორიდებით გადაუხედავს და თავაზიანად მისალმებია.

იქნებ ვინმეს ვაწყენინე, მაპატიოს, ალბათ, თქვენც გამოგიცდიათ თუ რა მწარეა პატიმრობის პირველი დღეო, უთქვამს დარცხვენით.

«ასე ჩქარა შეეჩვიეთ აქაურობას?» ჰკითხეს თურმე.

«შეიძლება ასედაც იყოს, მაგრამ მე უკეთესს გეტყვით,—თუ დამიჯერებთ, ასე მშვიდად თავი დიდი ხანია არ მიგრძვნია. ამ ცხოვრებას, რისი წართმევაც ერთ კაცს შეეძლო, ყველაფერი წავართვი და ნამდვილად მომბეზრდა ის, რასაც უნახავი ბედნიერება ეძახის. მერე...—განაგრძობდა ხალისით თურმე,—საქმე ისე გამიხდა, რომ ყოველ წუთს აქ მოსვლას ველოდი. ველოდი და ეს უსიამოვნო გრძნობა არ მასვენებდა. ახლა კი ნამდვილად მოვისვენე, მოვისვენე, მაგრამ, როცა სამართალს ჩემი ცხოვრების თვითეულ წვრილმანს მოვახსენებ, ალბათ, თავს უფრო მშვიდად ვიგრძნობ. თუ არადა ჩემი სიცოცხლე მე არ მაბარია?»

ამ ამბის შემდეგ,—მისი ჩაყინული სულის ასე გალღობის შემდეგ (თუ ეს თვალთმაქცობა არ იყო), ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იგორი ყველაფერს იტყოდა. მე კი სანამ ტამანოვი თავის თავგადასავალს არ დასწერდა, სტასისა და საიდოვის დაკითხვა ზედმეტად მივიჩნიე.

(გაგრძელება იქნება)



„სამუშაო დღის შემოკლება და მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება შექმნის იმის პირობებს, რომ ყველამ, ვისაც სწავლა სურს, მიიღოს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება.“

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტიდან)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ დაიბადა «ნიკორწმინდა»

1947 წლის ივლისში მთელი ოჯახით კურორტ შოვში გავემგზავრე... ძალიან მიმზიდველია ზემო რაჭის ეს კუთხე. თვალს იტაცებს კლდეები, წყაროები, ჩანჩქერები, ცად აზიდული ლურჯი მთები, მქრქალი ნისლები, საძოვრები, ღელეებზე წისქვილები, ლეჩხუმისა და რაჭის ვენახები, ყანები, პურისა და ქერის ოქროსფერი ზღვა, ფერდობებზე შეფენილი ცხვრის ფარა და ნახირი, მწყემსთა სიმღერები და სალამურის დამატყვევებელი ხმები.

ერთ დილას შოვში მოჩხრიალე ჭანჭახისაკენ გავწიე. საოცრად ცივი და მარდი მდინარე სიპ ლოდებზე მკვირცხლად გადმორბის, სწრაფად ეშვება დაღმართში.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ასე ადრე მდინარესთან დავინახე გალაკტიონ ტაბიძე. ხომ არ ვცდები-მეთქი, ვიფიქრე და ჯერ შორიდან უფრო ბეჯითად დავაკვირდი. აცვია უბრალო კოსტიუმი, მკერდზე ლენინის ორდენი უკეთია, თავზე ახურავს სვანური ქუდი. ოცნებაში წასული, გარინდებული გაჰყურებს ჭანჭახის დინებას. ვინ იცის, რაზე ფიქრობს იგი, რომელ რითმსა და სტრიქონს ქარგავს, რანაირ პოეტურ სახეს ხატავს, რანაირ მუსიკას უსმენს... — რა კარგი იქნება, ჩუმად აღიბეჭდოს ეს სურათი ფოტოფირზე, მაგრამ ახლა ხომ ალიონია, სად ვნახო ფოტოგრაფი?! უნებლიედ ამეკვიატა ეს აზრი. მივიხედ-მოვიხედე, არავინ ჩანს, ჯერ სძინავს შოვს...

უცებ მკაცრი მოძრაობით წამოდგა გალაკტიონი და აღმა აჰყვა მდინარეს, საცალფეხო ხიდზე შედგა, გარშემო მიმოიხედა. ახლა უკვე აღარ მოხერხდა დამალვა, გაოცებული სახით მომაჩერდა „გამარჯობა, ძამია! საიდან სადაო!“ — დამიძახა და ერთმანეთს გადავეხვიეთ. გამოირკვა, რომ გალაკტიონი მეუღლითურთ გვიან ღამით ამოსულა და № 1 სანატორიუმში მოწყობილა, ცოტა წაუძინებია, გულმა აღარ მოუთმინა და შოვის სანახებს გამოუტყუებია.

იმ დროს კურორტ შოვის დირექტორი იყო სიმონ ყურაშვილი, ხოლო დამსვენებელთა ჯანმრთელობას დარაჯობდა ექიმი ლადო გასვიანი. ერთიც და მეორეც დამსახურებული პატივისცემით სარგებლობდა მოაგარაკეთა შორის. სიმონ ყურაშვილმა ერთი საინტერესო რამ მოიფიქრა: მოიხმო რაჭველი დურგალი და ამ კეთილ მოხუცს, თავისი საქმის ნამდვილ ოსტატს, დაავალა, რომ იქვე აღმართული მთის გრეხილის მწვანე ხეებით გაბარდნილ ფერდობზე გაეკეთებინა ხის უბრალო მრგვალი მაგიდა, გაეყვანა საფეხურებიანი გზა; აქ, სიმონის აზრით, გალაკტიონი ავიდოდა შემოქმედებითი აღმაფრენის წუთებში და დაიკმაყოფილებდა სასიამოვნო გრძნობებს. დურგალმა დირექტორის მითითება მეორე დღესვე განახორციელა, და მერე როგორი ორიგინალობით!

გალაკტიონი ორი დღით გაუჩინარდა. მის მეუღლეს ვკითხე, უგუნებოდ ხომ არ არის-მეთქი. თავაზიანად მიპასუხა, — ახალ ნაწარმოებზე მუშაობს, რაღაცნაირ აღფრთოვანებას განიცდისო. მე მეგონა სანატორიუმში იყო ჩაკეტილი და იქ მუშაობდა. ჩემი მისვლით ხელს როგორ შევუშლიდი. მაგრამ ერთ დღეს ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა გალაკტიონი ტყიდან გამომავალი დავინახე, ცალ ხელში ფანქარი და ბლოკნოტი ეჭირა, ხოლო მეორე ხელით საბეჭდი მანქანა მოჰქონდა. ერთმანეთს მივესალმეთ, ცოტაოდენი ამბები გამოვკითხეთ, ხოლო ჩემი გაოცება არ მიგრძნობინებია. ისე დავშორდით ერთმანეთს, რომ არაფერი დასცდენია საიდან მოდიოდა.

მესამე დღეს, იქნებოდა ასე დილის 8 საათი, გალაკტიონს მოვკარი თვალი. თავაწეული ჩქარი ნაბიჯით გადასცდა მოასფალტებულ გზას და ტყისაკენ აიღო გეზი. ახლომახლო არავინ ჩანდა. მარტო მე შევხედე პოეტს, რომელიც შეერთო ტყის ზოლს. იღლიაში ამოჩრილი ჰქონდა საბეჭდი მანქანა. შორიდან შევნიშნე, როგორ შეირხნენ ლორთქო ტოტები, მერე კი სიჩუმე დასადგურდა გარშემო.

ორიოდე საათის შემდეგ დავძლიე უხერხულობა, მივიხედ-მოვიხედე გარშემო და გავყევი გალაკტიონის ნაკვალევს. გავლილი არ მქონდა ორიოდე ნაბიჯი, რომ მიწაში გამოკვეთილ კიბეს წავაწყდი. ავიხედე ზევით და ასეთი სურათი წარმომიდგა თვალწინ: მაღალი, ტოტებდაშვებული ფიჭვის ძირას გაუკაფავთ ჩირგვნარი, მიწა მოუსწორებიათ, ახლო ხეების რტოები შეუსხეპიათ, ნიადაგში ჩამაგრებულ მუხის ნაჭერზე მრგვალი მაგიდა გაუკეთებიათ, ერთ მხარეზე შეკრული ფიცრები მიუმაგრებიათ მაგიდის ერთადერთი ფეხისათვის, ზედ დგას სკამი. მაგიდას მისჯდომია გალაკტიონი და ბლოკნოტში წერს... წერს შთაგონებით, გარემო სამყაროსაგან გამოთიშული, წერს საოცარი ექსტაზით, ხანდახან რაღაცას ჩურჩულებს თითქოს, მკაფიოდ ვერ აღწევენ ჩემამდე სიტყვები. მე კი რაც შეიძლება გავინაბე და ვუსმენ.

კიბეს რომ ავყოლოდი, მაგიდას მიმაყენებდა, მე კი ეს არ მინდოდა. სიმშვიდეს ხომ არ დავურღვევდი პოეტს! ვინ იცის, რა საუნჯეს უქმნიდა ქართველ მკითხველებს!

კიბე დავტოვე, გვერდით გავუხვიე, დიდი წვალებით ავედი ზევით და ცოტათი ავივაკე. ჩემდა ბედად აღმოვჩნდი ერთი ტანმსხვილი ფიჭვის ძირში, იგი ფოთლოვან ჩირგვებში იდგა. ამ დაბალ მცენარეებს ამოვეფარე, ჩავჯექი და ვუცქერდი პოეტს, იგი მაშინ ცოცხალ შთაგონებას ჰგავდა.

ახლა კი გარკვევით გავიგონე:

შენ ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე
ჩვენი საუკუნე
გიცავს უახლესი:
მძლავრი ხელოვნება
ხალხის ხელოვნება —
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!
აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება;
ნეტავი ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო
რა მადლმა ააგო
სვეტი ნიკორწმინდა!

დიდი ბედნიერება მხვდა წილად. მე ვარ მალული მოწმე დაძაბული შემოქმედებითი პროცესისა, რომლის შედეგადაც შეიქმნა ჯავარი, შნო და ლაზათი ქართული პოეზიისა.

დაიწერა ლექსი, დაიხურა ბლოკნოტი, შვებას მიეცა დიდად ბედნიერი პოეტი. იგი ახლა აღარ იჩქარის. დინჯად დაჰყვა ფერდობზე გამოჭრილ კიბეს, გამოვიდა მინდორზე და, თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორაო, მსუბუქად გასწია სანატორიუმისაკენ.

გ. სამხარაძე

# გურიის ლაშქარი


გურიის ლაშქრის უფროსი, გიორგის კავალერი ერმილოზ ნიჟარაძე.

პერიოდულ ომებს, რომელსაც რუსეთი აწარმოებდა თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ, დიდი . პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა მცირე ერებისათვის როგორც ამიერკავკასიაში, ისე ბალკანეთში.

მოწინავე ქართველობას კარგად ესმოდა, რომ რუსეთის გაძლიერება და გაფართოება იხსნიდა დაქსაქსულ საქართველოს მეზობელი აგრესორებისაგან, ამიტომ რუსეთის სამხედრო მოქმედება ქართველობას თავის საკუთარ საქმედ მიაჩნდა. წარსულში არა ერთმა ქართველმა მოუპოვა პატივი და დიდება რუსულ იარაღს.

ყველა ომში, რომელსაც რუსეთი თურქეთ-ირანის წინააღმდეგ კავკასიაში აწარმოებდა, ქართველი ხალხი თავისი ნებით იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ჩვენი ლაშქროსნები მეტ წილად თავისი საჭურვლითა და ცხენებით გამოდიოდნენ საბრძოლველად.

საქართველოს ნაწილები — გურია, იმერეთი, სამეგრელო, ქართლ-კახეთი, ადგენდნენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ცალ-ცალკე ლაშქარს („დრუჟინა"). გურულებს ეცვათ ჩაქურა, იმერლებსა და მეგრელებს — გრძელი ჩოხა, ქართლ-კახელებს—მოკლე ჩოხა. ეროვნული ლაშქრები რუსეთის რეგულარული ჯარის მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომში გურულების „მილიცია" ცალკე ერთეულად იღებდა მონაწილეობას. რუსეთ-თურქეთის 1853-56 წლების ომში გურიიდან ექვსი ლაშქარი მონაწილეობდა. ისინი მამაცურად იბრძოდნენ როგორც გურიის ასპარეზზე, ისე შავი ზღვის ნაპირებზე გადმოსხმული თურქების დესანტის წინააღმდეგ.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში ქართველმა ხალხმა ტრადიციულად მიიღო მონაწილეობა თავისი ეროვნული ლაშქრებით. ამ ორ მეტოქე სახელმწიფოთა შორის ეს მერვე ომი იყო გასული ორი საუკუნის — 182 წლის მანძილზე.

როგორც კი ოზურგეთში გამოცხადდა მოწოდება ათასი კაცის შემადგენლობით გურიის ლაშქრის შედგენაზე, მაშინვე მთელი გურია ფეხზე დადგა. მსურველთა რიცხვმა ბევრად გადააჭარბა გათვალისწინებულ რაოდენობას. ასე დიდი იყო ბრძოლის სურვილი თურქების წინააღმდეგ, რომლებმაც საქართველოში არაერთგზის შემოსევისა და აოხრების გამო ხალხის სიძულვილი დაიმსახურეს.

შტაბის ცნობით, დიდ საბრძოლო ინიციატივას იჩენდნენ გურიის ლაშქრები, რომლებიც უმთავრესად გლეხობისაგან შედგებოდა. ისინი რეგულარული ჯარის დაუხმარებლადაც უტევდნენ მტერს და იმარჯვებდნენ. ამ ომების შედეგად იყო შემოერთებული ძველი მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ომის დამთავრების შემდეგ ლაშქრები დაშალეს, დატოვეს მხოლოდ გურიისა და ქართლ-კახეთის თითო ლაშქარი. ამ ორმა ლაშქარმა პირვანდელი სახით 1905 წლამდე იარსება.

გურიის ლაშქროსნების საგმირო საქმენი ქართველი ხალხის ისტორიის საამაყო ფურცლებს წარმოადგენს.

ვ. გორგიძე

## სექტემბერი



წლის მეცხრე თვე 30 დღით. როდესაც ძველ რომში ახალი წელი მარტიდან იწყებოდა, სექტემბერი მეშვიდე თვე იყო და მას სეპტემბერს, ე. ი. მეშვიდეს უწოდებდნენ (ლათინურად სეპტიმა — შვიდია). შემდეგ მეცხრე თვე გახდა, მაგრამ მეშვიდე თვის სახელწოდება კვლავ შეინარჩუნა. ევროპულ ენებზე ამ თვეს მეშვიდე ეწოდება. თავდაპირველად სექტემბერში 30 დღე იყო, მერე 31. როდესაც ივლისსა და აგვისტოში თვითეულში 31 დღე გახდა, სასურველი არ იყო სამ თვეს ზედიზედ 31 დღე ჰქონოდა, ამიტომ სექტემბერს ერთი დღე ჩამოაკლეს და ოქტომბერს დაუმატეს.

ახალი კალენდრით წელთაღრიცხვა იწყებოდა 192 წლის 22 სექტემბრიდან.

ძველ ქართულში სექტემბერს ერქვა ახალწლისა, იმიტომ რომ ახალი წელი სწორედ ამ თვით იწყებოდა. უფრო გვიან ქართველებმა შემოიღეს ამ თვის ევროპული სახელწოდება — სექტემბერი.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: გ. ტიტოვი კოსმოსში.
ნახატი გ. კეშელავასი

ჩანართის პირველ გვერდზე: სწავლა დაიწყო.
ფოტო გ. რაზმაძისა.

ჩანართის მეოთხე გვერდზე: იალაღებზე.
ფოტო ლ. უხტინოვისა

რედაქტორი ა. ძიძიგური
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე
პ/მგ. მდივანი მ. ჯიბლაძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი გ. კეშელავა. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/X-61 წ. გამომც. № 165, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო? ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 19.000. შეკვ. № 1456, უე 03233

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# ბარაქიანი რთველი




ეროვნული
ბიბლიოთეკა